93
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 22 (1038) | სამშაბათი, 28 თებერვალი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

მიღება მინისტრთა კაბინეტში

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო თურქეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თემელ ისქითის ხელმძღვანელობით.

შეხვედრაზე. საუბარი შეეხო ენერგეტიკისა და ნავთობმოპოვების საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ევრო-აზიის დერეფნის საკითხს, კერძოდ, ნავთობსადენის გაყვანას საქართველოს ტერიტორიაზე. 28 თებერვალს სტუმრები მიიღებენ დაწვრილებით მონაცემებს ბაქო-თბილისი-ბათუმი ნავთობმაგისტრალისა და წინასწარი ნავთობის გადაზიდვის შესაძლებლობების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტერიტორიაზე თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეების უვიზო გადაადგილების შესახებ შეთანხმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. მიუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტერიტორიაზე თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეების უვიზო გადაადგილების შესახებ შეთანხმებას.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განახორციელოს სათანადო ღონისძიებები.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარების ზოგიერთი აუცილებელი ღონისძიების შესახებ

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით:

1. სახელმწიფო-კომერციულმა, სააქციო-კომერციულმა და კომერციულმა ბანკებმა აღნიშნული კამპანიის უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის გამო ნავთობპროდუქტების, თესლების, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და მარაგნაწილების ღირებულების მიზნობრივი გადარიცხვები სპეცანგარიშებიდან აწარმოონ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე; განახორციელონ მათ სისტემაში არსებული ფულადი რესურსების ისეთი მანევრირება, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარებას.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს სისტემატური დახმარება აღმოუჩინოს ბანკებს ოპერაციების დროულად შესრულებაში.
3. საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულებმა რეგიონებში შესაბამისი რაიონების გამგეობებთან ერთად საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების პერიოდში უზრუნველყონ მკაცრი წესრიგი, ნავთობპროდუქტების, თესლების, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, მარაგნაწილების ტრანსპორტირების უსაფრთხოება და დააწესონ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის კამპანიისათვის საჭირო მასალების მიზნობრივ გამოყენების სათანადო კონტროლი.
4. საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა დააწესოს მაქსიმალურად შემცირებული სატრანსპორტო ტარიფები (არა უმეტეს 10 პროცენტი რენტაბელობისა) ზემოაღნიშნული ტვირთების თბილისიდან დანიშნულების ადგილებამდე გადაზიდვისათვის.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 22 თებერვალი, ქ. თბილისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

მ. ჭკუასელის გურიის მხარის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ ჭკუასელი გურიის მხარის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულად.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1995 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის აკრძალვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ფუნქციონირებენ მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, და სხვა სამრეწველო საწარმოები, რომელთა ძირითადი ნედლეული შავი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენებია, რის გამოც მათ სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ და დაუშვებელია ამ ლითონების სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ გატანა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში წარმოებს რესპუბლიკიდან ჯართისა და ნარჩენების გატანა, როგორც არალეგალურად, ასევე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ცალკეული დადგენილებებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. აიკრძალოს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი.

როგორც გამონაკლისი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რეექსპორტი განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიისა და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის წინასწარი თანხმობით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ყველა დადგენილება შავი და ფერადი ლითონების გატანის თაობაზე (მათ შორის რეექსპორტით შემოტანილისა), რომლებიც ეწინააღმდეგება ამ დადგენილებას.
3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მსოფლიო საბაზრო ფასების გათვალისწინებით ა/წლის 15 მარტამდე შეიმუშაოს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების სახელმწიფო შესყიდვის დიფერენცირებული ფასები და საბაჟო განაკვეთები.
4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას, შეისწავლოს შავი და ფერადი ლითონების და მათი ნარჩენების რესპუბლიკიდან გატანის თაობაზე მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების მართლზომიერების საკითხი და ინფორმაცია ამის თაობაზე, ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს, ხოლო ორი თვის ვადაში — ინფორმაცია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების და სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შესახებ.
5. მინისტრთა კაბინეტმა შეიმუშაოს „საქმეტალით"-ის მიერ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, ჩაბარებისა და ტრანსპორტირების რეგულირების წესი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 21 თებერვალი.

„კუპონის რევალვაციის პროცესი საკმაოდ ოპტიმისტურ საფუძველს გვაძლევს"

თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** გასული კვირის ეკონომიკური ანალიზით, საქართველო-ინგლისის ერთობლივი ნავთობმომპოვებელი კომპანიის მონახულების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებით დაიწყო.

— სუფსის ნავთობთან დაკავშირებით, მგონია, რომ ჭორჭორობით, ნაადრევია ამ საქმის დიდი რეკლამა, თუმცა დასაწყისი იმედისმომცემია. ყოველგვარი მონაცემები არსებობს, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ საბადოსთან და ეფექტიც შეიძლება სწრაფად მივიღოთ.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეხვედრამ ოზურგეთში. მიუხედავად იმ დიდი გაჭირვებისა, რომელიც ამ კუთხემ გადაიტანა (და პრაქტიკულად ახლაც რთულ პირობებში ცხოვრობს), მაინც სულგრძელი ადამიანები არიან იქ და იმედის თვალით შემოგვხედეს მომავალს. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა მოღვაწის მიხეილ ჭკუასელის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულად დანიშვნაც იმედისმომცემია და, როგორც შევატყვე, გურულები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ აქტს.

დღეისთვის შეიძლება ითქვას: 1995 წლის გასული ორი თვეში დიდი ბრიტანეთის, უკრაინის, ბულგარეთის, ევროკავშირის, ევრობანკის უმაღლეს ხელმძღვანელებთან შეხვედრებისა და მოლაპარაკებების, ასევე ალმაატაში სახელმწიფოს მეთაურთა სამიტის შედეგად მიღებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულებების, აგრეთვე საქართველოსათვის სარეაბილიტაციო კრედიტის გამოყოფის შესახებ მსოფლიო ბანკთან შეთანხმების მიღწევის ფონზე, კიდევ უფრო ცხადი გახდა ჩვენს ქვეყანაში ერთი წლის წინათ მიღებული ანტიკრიზისული პროგრამის კურსის რეალობა და რადიკალური რეფორმის განხორციელების ახალი ეტაპის პირობების მომწიფება.

ამ ბოლო თვეების განმავლობაში ხელმოწერილ კიდევ ორ ბრძანებულებას გამოვყოფდი. პირველი — ეს არის რეფორმების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის თაობაზე, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფო აპარატის პასუხისმგებლობა სწორედ რეფორმების მიმდინარეობისათვის. სახელმწიფო სტრუქტურების შეფასებისას ჩვენთვის ის იქნება მთავარი, თუ როგორ მიმდინარეობს რეფორმები და როგორია მისი პრაქტიკული შედეგი, და ეს იქნება არა ზოგადი პასუხისმგებლობა, არამედ სავსებით პერსონალური — თითოეული მოხელის ჩათვლით.

მეორე — სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება ეროვნული ვალუტის შემოღების სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ. სადაც აღნიშნულია, რომ ბოლო დროს ქვეყანაში გამოკვეთილი სტაბილურობა, ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერა, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღების რეალურ შესაძლებლობას ქმნის (ამის შესახებ საუბარი დიდ ბრიტანეთშიც გვქონდა). ჩვენ ახლა სწორედ ამ ეტაპს მივუახლოვდით. ეროვნული ვალუტის შემოღება უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური აქცია იქნება, რომლისთვისაც ჯერ დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვემზადოთ და საბოლოო გადაწყვეტილება შემდეგ მივიღოთ. ჩვენ არ ვჩქარობდით, ვიდრე არ გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები ფინანსებსა და ეკონომიკაში, მანამდე ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

ამასთანავე, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების შედეგად კუპონის რევალვაციის პროცესი საკმაოდ ოპტიმისტურ საფუძველს გვაძლევს. ეს ერთი კვირის ან თვის დაკვირვების შედეგი როდია — სექტემბრიდან დაწყებული პროცესი საკმაოდ მყარად მიმდინარეობს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში შიდა სავალუტო ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საგრძნობლად აიწია კუპონის კურსმა დოლარის მიმართ. ამის მიზეზად შეიძლება რამდენიმე ფაქტორი დავასახელოთ. პირველი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი სისტემატური ტრანსფორმაციის სესხის პირველი ტრანშისა და ეროვნული ბანკის სხვა სარეზერვო წყაროების გამოყენებით მოხდა მიმდინარე თვის დასაწყისში საბიუჯეტო ხარჯების დასაფინანსებლად კრედიტის სახით მიმოქცევაში დაშვებული კუპონური სახსრების სრული ნეიტრალიზაცია.

მეორე ფაქტორი: გენერალური ლიცენზიის მქონე ბანკებმა დაიწყეს უცხოეთის ბანკებში მათ მიერ გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშებიდან დიდი რაოდენობის ნაღდი დოლარების ინკასირება თბილისში. სახსრების ეს დინება საქართველოსაკენ გამაჯანსაღებელი ტენდენციის ერთი მთავარი დამადასტურებელი ნიშანია. შედეგმა არ დააყოვნა. ნაღდი ვალუტის ინექციამ შიდა სავალუტო ბაზარზე იმპულსური ასახვა ჰპოვა სავალუტო კურსში. დღეისთვის სავალუტო ბაზარზე ამერიკული დოლარის შესყიდვის კურსი მხოლოდ 7-7,5 პროცენტით, ხოლო გაყიდვის კურსი 9-9,5 პროცენტით აღემატება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ოფიციალურ კურსს. თუ გავიხსენებთ სავალუტო კურსის დინამიკას შარშანდელ სექტემბრამდე, შევამჩნევთ, რომ სავალუტო ბაზრის ბანკნოტური კურსი ხშირად 40-60 პროცენტით აღემატებოდა ოფიციალურ კურსს.

მესამე: მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს დოლარის მიმართ კუპონის საბირჟო კურსის შემდგომი აწევის რეალური შესაძლებლობა აქვს, კურსი უკვე ერთი თვეა უცვლელი რჩება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ეროვნული ბანკი ყოველნაირად ცდილობს კიდევ უფრო მიუახლოოს ოფიციალური კურსი შიდა სავალუტო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ბანკნოტურ კურსს და ამ გზით მოახდინოს სავალუტო კურსის უნიფიცირება.

შეიძლება მითხრან, რა საჭიროა ამ საკითხების ასეთი დეტალიზაცია. მაგრამ ამას შეგნებულად ვაკეთებ, რათა თითოეულ ჩვენგანს წარმოდგენა ჰქონდეს ამაზე. ამ მონაცემებში პრაქტიკულად აისახება მთელი ჩვენი ცხოვრება, ამიტომ ყველამ ერთად განათლებაც უნდა მივიღოთ ამ სფეროში, რადგან იგი ახალი ეტაპია, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის ახალი ცხოვრების დამახასიათებელი თვისება.

ედუარდ შევარდნაძის 27 თებერვლის რადიოინტერვიუ

საანალიზო კვირაში სავალუტო ბირჟის ბრუნვა მილიონ 85 ათასი დოლარით განისაზღვრა. ამასთან, ბანკთაშორისო ბირჟის 28 თებერვლის ვაჭრობაზე კომერციული ბანკების მოთხოვნა წინა ვაჭრობასთან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ შემცირდა და მან 298 ათასი დოლარი შეადგინა. ასევე შედარებით შემცირდა ვაჭრობაში მონაწი[illegible] ეს საგულისხმოა. სავალუტო ბაზრის ბანკნოტურ და ოფიციალურ კურსთან დაახლოებამ მინიმუმამდე დაიყვანა კომერციული ბანკების, როგორც დოლარის აქტიურ შემსყიდველთა, სპეკულაციის მიზნით ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟის ვაჭრობაში მონაწილეობა. ასეთი ტენდენცია ბანკებს მიუთითებს, რომ მათ ვიწრო, კონიუნქტურული ბიზნესის ნაცვლად რეალურ, ცივილიზებულ საბანკო პრინციპებზე ორიენტირებული ბიზნესის წარმოებას მიჰყონ ხელი, ესე იგი, მობრუნდნენ წარმოებისაკენ. ამ მხრივ ძალიან საინტერესო შეხვედრა მქონდა. „ინდუსტრიაბანკის" პრეზიდენტმა ბატონმა მალაკელიძემ მითხრა, რომ უკვე დააბანდა სახსრები რუსთის ერთ-ერთ წარმოებაში, რომელიც რამდენიმე თვეში წელში გაიმართა და ბანკი უკვე საკმაოდ დიდი პროცენტებით იბრუნებს ამ საქმეში დაბანდებულ სახსრებს. აი, აქეთკენ უნდა შემობრუნდნენ ჩვენი ბანკები.

დოლარის გამყიდველად 21 თებერვლის ვაჭრობაზე მხოლოდ ერთი, 28 თებერვალს კი ორი კომერციული ბანკი მოგვევლინა. ორივე შემთხვევაში არსებული სხვაობა მთლიანად დააბალანსა ეროვნულმა ბანკმა შემდეგი კურსით: ერთი დოლარი — 1 მილიონ 800 ათასი კუპონი. საქართველოს ეროვნული ბანკი აღარ ერევა ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე რუსული რუბლით ვაჭრობაში. ჩემი აზრით, ესეც უაღრესად საგულისხმო მოვლენაა. იგი შემდგომშიც არ შეუშლის ხელს რუბლის კურსის დაწევას კუპონის მიმართ და, რომც შეუშალოს ხელი, ალბათ, მაინც ვერ შეძლებს ამას მანამ, სანამ თვით რუსეთში არ გაჯანსაღდება ვითარება. სამშაბათს კომერციული ბანკების მოთხოვნამ 40 მილიონი რუსული რუბლი შეადგინა. მოთხოვნა მთლიანად კომერციულმა ბანკებმა დააბალანსეს — კურსი წინა დონეზე დარჩა: ერთი რუსული რუბლი — 302 კუპონი. ხუთშაბათს, 23 თებერვალს, ბანკთაშორის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე კომერციულმა ბანკებმა გასაყიდად 87 მილიონი რუსული რუბლი გამოიტანეს. საწყის კურსზე მოთხოვნამ მოწოდების მხოლოდ ნახევარი შეადგინა, რამაც რუსული რუბლის კურსის სწრაფი დაცემა განაპირობა. მხოლოდ მაშინ, როცა რუბლის კურსმა 260 ნიშნულს მიაღწია, კომერციულმა ბანკებმა გადაწყვიტეს სხვაობის შესყიდვა. დაფიქსირდა კურსი: 1 რუსული რუბლი 260 კუპონი (დაიწია 42 კუპონით).

28 თებერვლის ვაჭრობის შედეგები კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ თანდათანობით მცირდება რუბლის მიმოქცევის არეალი. ის, რასაც ჩვენ ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით გვთავაზობდნენ, თავისთავად ხდება — ბაზარი თანდათანობით არეგულირებს, ჩვენ კი ვარეგულირებთ ეკონომიკური და ფინანსური მეთოდებით. კომერციული ბანკები დღეისათვის ამჯობინებენ რუსულ რუბლთან შედარებით მეტი კუპონური სახსრები ჰქონდეთ, რადგან ხედავენ, რომ რუბლი გაცილებით უფრო ინფლაციურია, ვიდრე ქართული კუპონი. უფრო მეტიც: ამ უკანასკნელის კურსი დღითიდღე მტკიცდება რუბლის მიმართ. აღსანიშნავია, რომ კუპონის რევალვაციისთვის ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს არ იყენებს, რუსული რუბლი თვითონვე ნელ-ნელა მიექანება ქვევით. ეროვნული ბანკის აზრით, უკვე მრავალი ეკონომიკური პირობა არსებობს, იმისათვის, რომ კუპონი სრულფასოვან საგადამხდელო საშუალებად იქცეს, საჭიროა მხოლოდ ადეკვატური სამართლებრივი ბაზის შექმნა. ვფიქრობ, ეროვნული ვალუტის შემოღება ყველა ამ საკითხს საბოლოოდ გასცემს პასუხს და პრობლემასაც წერტილი დაესმევა.

ამგვარ ტენდენციებთან ერთად კვლავ ძალზე დაძაბულად მიმდინარეობს 1995 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება. საგადასახადო ინსპექციის ცნობით, მის მიერ კონტროლირებადი გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 18,5 ტრილიონი კუპონი. აქედან თებერვლის პირველ ნახევარში 8,7 ტრილიონი, ანუ 80 პროცენტით მეტი, ვიდრე მთლიანად იანვარში.

შარშანდელ მეტად დაბალ დონესთან შედარებით საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება საბაჟო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულ შემოსავლებში. მართლაც დიდია განსხვავება შარშანდელთან შედარებით. შემდეგ გამოსვლაში, ალბათ, სასურველი იქნება დავასახელოთ კონკრეტული ციფრები, თუ ის ტენდენცია [illegible].

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, ბიუჯეტის ანგარიშზე 1995 წელს სულ შესულია მხოლოდ 10,5 ტრილიონი კუპონი, ანუ გეგმის 41 პროცენტი. ბიუჯეტმა ვერ მიიღო 15 ტრილიონი კუპონი. ისეთი საგადასახადო შემოსავლებიდან, როგორიც არის დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, ნატურით მიღებული ნავთობპროდუქტებიდან ფიქსირებული გადასახადი და საბაჟო გადასახადი, ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო 6,7 ტრილიონი კუპონი. ფაქტობრივად კი ჩაირიცხა 2 ტრილიონამდე კუპონი, ანუ გეგმის 33 პროცენტი. ამის ძირითადი მიზეზი პროგნოზულ გათვლებთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მეტად დაბალი დონეა. 7 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქციის რეალიზაციის პირობებში ბიუჯეტი დამატებითი ღირებულებისა და აქციზის სახით მიიღებდა სამ ტრილიონზე მეტ კუპონს. ანალოგიურად დიდი ოდენობით დაგროვდა ღვინომასალები, კონიაკი და სხვა პროდუქცია, რომელიც დამატებითი ღირებულების გადასახადითა და აქციზებით იბეგრება. საქართველოსათვის დამაფიქრებელია, რომ განვლილ პერიოდში ბიუჯეტმა ღვინის მრეწველობიდან მხოლოდ 55 მილიარდი კუპონი მიიღო. ამას ჩაუფიქრდნენ ის სამინისტროები, უწყებები და რეგიონები, რომლებიც ყურადღებას უნდა აქცევდნენ ამ საქმეს.

(დასასრული მე-2 გვ.)

სუფსაში ნავთობის საბურღი კოშკი მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება

სტაბილურობა საქართველოს ეკონომიკური აღორძინების გარანტიაა

[illegible], კოლხეთის დაბლობის, როგორც სუბტროპიკული კულტურების მოყვანის რეგიონის შესახებ ჩვეულებრივი წარმოდგენა უახლოეს ხანში რამდენადმე შეიცვლება, უფრო ზუსტად, იგი გაიგივებული იქნება ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო ეგრეთ წოდებული „შავი ოქროს" — ნავთობის მოპოვებასთანაც. ყოველ შემთხვევაში, ამის ეჭვი სულაც არა აქვთ ქართველ და ინგლისელ სპეციალისტებს, რომელთა ერთობლივმა კომპანიამ უკვე დაიწყო სამუშაოები ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის ტერიტორიაზე. 23 თებერვალს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ეწვია მენავთობეებს, რომლებმაც რეკორდულად მოკლე ვადებში შემოიტანეს და დაამონტაჟეს უზარმაზარი და რთული საბურღი მოწყობილობა, გაიყვანეს გზა და გადეს კიდეც მდინარეზე ორი დროებითი ხიდი.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ქართულ-ბრიტანულ ერთობლივ კომპანიას, რომლის გენერალური დირექტორია ახალგაზრდა სპეციალისტი ნიკო თევზაძე. ინგლისის მხარეს, სხვათა შორის, რომელმაც იკისრა სამუშაოთა დაფინანსება, წარმოადგენს ბატონი დევიდ რობსონი. თანამშრომლობის პირობები ზუსტად არის განსაზღვრული. მას შემდეგ, რაც ნავთობი ამოვა, დაბანდებულ ინვესტიციათა განაღდებამდე მხარეები იღებენ მოგების 50-50 პროცენტს. შემდეგ, როცა ინვესტორთა ხარჯები დაიფარება, მოპოვებული ნავთობის 70 პროცენტი საქართველოს დარჩება, ხოლო 30 პროცენტი — ინგლისს.

სუფსაში ნავთობის საბურღი კოშკი მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება, თუმცა თავისი ნარინჯისფერით ჯერაც არ შეხამებია სუბტროპიკების მარად მწვანე გარემოს. სიმართლე რომ გითხრათ, გაგვაკვირვა აკურატულობამ და სისუფთავემ სამუშაო მოედანზე, რამდენადაც წინათ არაერთხელ გვინახავს მაზუთითა და სხვადასხვაგვარი ნარჩენებით გაჭუჭყიანებული ანალოგიური ფართობები ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ნავთობსარეწებზე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს კოშკი, ბუნებრივია, დაინტერესდნენ იქ მყოფი ორასზე მეტი ქართველი და ინგლისელი ინჟინრისა და მუშის შრომის კონკრეტული შედეგების მიღების პერსპექტივით.

რამდენადმე მოულოდნელადაც კი გაისმა დევიდ რობსონის სავსებით გულდაჯერებული პასუხი, რომ ისინი ერთი თვის შემდეგ აპირებენ მიაღწიონ პერსპექტიულ სიღრმეს — 300 მეტრს და მაშინ მიიღებენ კიდეც პირველ ნავთობს. სხვათა შორის, ერთ თვეში მენავთობეებმა უკვე გაბურღეს 200 მეტრზე მეტი. ამავე დროს ითქვა, რომ ბურღვა ჭირს რეზერვუარში დიდი წნევის გამო. გასავლელია 8 ფენა. რაც შეეხება უფრო შორეულ პერსპექტივას, აღინიშნა, რომ მარტო ამ რეგიონში მოსალოდნელია იმდენი ნავთობის მიღება, რაც საქართველოს მოთხოვნის 20 პროცენტს დააკმაყოფილებს.

ტრადიციისამებრ, მენავთობეებმა ედუარდ შევარდნაძეს გადასცეს შამპანურის ბოთლი და სთხოვეს იგი ჩაესხა ჭაბურღილში, შეპირდნენ, რომ ერთი თვის შემდეგ ამ ბოთლს უკვე ნედლი ნავთობით გაავსებენ. მოგვიანებით, შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ ახლა ქვეყანას ნავთობი, წყალსა და ჰაერზე უფრო სჭირდება და ერთობლივი ქართულ-ბრიტანული კომპანიის შექმნით დასაბამი მიეცა დიდ და საჭირო საქმეს. მან შესაბამისი რაიონების გამგეობათა ხელმძღვანელებს დაავალა ყოველნაირი დახმარება გაუწიონ მენავთობეებს, რათა მათ შეუფერხებელი მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

და მაინც, ექნება თუ არა საქართველოს იმდენი საკუთარი ნავთობი, რომ მთლიანად უზრუნველყოფილი იყოს სათბობით? ამ კითხვაზე „საქნავთობის" დეპარტამენტის თავმჯდომარემ რევაზ თევზაძემ თქვა, რომ ორი-სამი წლის შემდეგ ეს პრობლემა შეიძლება მთლიანად გადაიჭრას.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე ეწვია ოზურგეთს, სადაც შეხვდა დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონების ხელმძღვანელებს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან არსებული რეგიონული სამმართველოს სამსახურის ხელმძღვანელი თემურ ფიფია, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული დასავლეთ საქართველოს რეგიონში, სახელმწიფო მინისტრი გოგი ლომინაძე.

ედუარდ შევარდნაძემ შეკრებილთ წარუდგინა მიხეილ ჭკუასელი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულად დაინიშნა გურიის რეგიონში. სწორედ უთქვამთ, ახალ დროებას ახალი ადამიანები ქმნიანო. იმის მიუხედავად, რომ მიხეილ ჭკუასელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია, მას საზოგადოებრიობა უკვე იცნობს როგორც მაღალკვალიფიციურ და არაორდინარულად მოაზროვნე ეკონომისტს, რომლის ანგარიშზეც უკვე საკმაოდ ბევრი ხორცშესხმული წამოწყებაა. ახლა მას ძალიან რთული ამოცანა დაეკისრა, რომლის დაძლევა შეიძლება, თუ გადაწყდა ისეთი ურთულესი პრობლემები, როგორიც არის დამნაშავეობის აღკვეთა, რეგიონის ენერგომომარაგების მოგვარება, სურსათით, სათბობით მოსახლეობის უზრუნველყოფა და, რაც უმთავრესია, ადამიანებისათვის რწმენის დაბრუნება. ახალმა რწმუნებულმა უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს, ჩამოაყალიბა კრიზისიდან რეგიონის გამოყვანის გზების მისეული ხედვა.

შეხვედრაზე ადგილობრივ საქმეთა ვითარების შესახებ ინფორმაციები გააკეთეს ზოგიერთი რაიონის ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, შრომის ვეტერანებმა და ახალგაზრდა სპეციალისტებმა. ილაპარაკეს მთელი საქართველოსათვის ამჟამად დამახასიათებელ სიძნელეებზე, მაგრამ ყველამ ერთსულოვნად აღნიშნა, რომ ხალხს ახლა ყველაზე მეტად აწუხებს განსაკუთრებით რთული კრიმინოგენული სიტუაცია, რომელიც ამ ბოლო ხანს, თუმცა, რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ წესრიგის საბოლოო აღდგენამდე ჯერ კიდევ შორს ვართ.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, როგორც მან აღნიშნა, უკვე უკან დარჩა ნგრევისა და ქაოსის უმძიმესი წლები, თუმცა ბრძოლა ამ მიმართულებით კიდევ უნდა გაგრძელდეს. ის, რაც გაკეთდა სამოქალაქო ომიდან გამოსვლისა და ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევისათვის, დაინახა მსოფლიომ, რომელიც ახლა მზად არის ჩვენთან თანამშრომლობისათვის. დასავლეთის დახმარება რომ არა, თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, ქვეყანა შიმშილის წინაშე აღმოჩნდებოდა. ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, სხვა ქვეყნების დახმარება მიზნად ისახავს, გაგვიადვილონ ახალი სახელმწიფოს მშენებლობა. მათ ესმით, რომ დიდია საქართველოს მნიშვნელობა რეგიონში. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა უკვე გამოუყვეს საქართველოს პირველი კრედიტები და ეს იმისათვის გააკეთეს, რომ გვჯერის, მაგრამ უკვე დაიწყო ფინანსების გაჯანსაღების პროცესი. ეს საშუალებას მოგვცემს უკვე მაისში შემოვიღოთ საკუთარი ეროვნული ვალუტა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა, ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, იმის გარანტიაა, რომ საქართველოთი დაინტერესდნენ საზღვარგარეთის საქმიანი წრეები, არსებობს საუკუნის პროექტი — ევრაზიის დერეფანი, რომელიც აუცილებლად გაივლის საქართველოზე. მაგრამ ყოველივე ეს რეალობად შეიძლება იქცეს მაშინ, თუ ქვეყანაში წესრიგი დამყარდება. ჩვენ შევძელით აღგვეკვეთა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა თარეში, მაგრამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ. უნდა შევიგნოთ, რომ არასტაბილურობა კატასტროფაა საქართველოსათვის, დიდი ეკონომიკა წესრიგითა და დისციპლინით იწყება, სხვაგვარად არ შეიძლება. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურმა ყველა გააფრთხილა, რომ ამ საქმეში უკან დახევა არ მოხდება, და ნურავინ ელოდება შეღავათებს, რადგან ახლა სასწორზე დევს საქართველოს ბედ-იღბალი და არავის არა აქვს უფლება, სათამაშოდ გაიხადოს იგი.

ედუარდ შევარდნაძემ გააანალიზა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების გამო შექმნილი სიტუაცია და თქვა, რომ, როგორიც უნდა იყოს მიღწევები, ჩვენ მშვიდად ვერ დავიძინებთ, სანამ არ დავიბრუნებთ აფხაზეთს. ახლა, როცა რუსეთსა და საერთოდ მსოფლიოში შეიცვალა აგრესიული სეპარატიზმისადმი დამოკიდებულება, შეიქმნა ამ პრობლემის გადაჭრის ხელსაყრელი ფონი. ამასთანავე სახელმწიფოს მეთაურმა სავსებით გამორიცხა ყოველგვარი თვითშემოქმედება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავანტიურიზმის ხანა წარსულს ჩაბარდა და ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ სახელმწიფო დონეზე უნდა იყოს მიღებული. დარწმუნებული ვარ, თქვა მან, რომ წლევანდელი წელიწადი აფხაზეთის დაბრუნების, კონსტიტუციის მიღებისა და ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების წელიწადი იქნება.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

მერვე სვეტი

რესპუბლიკის პროკურატურაში

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსმა იგორ გიორგაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, პარლამენტის წევრის ქალბატონ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიერ გაზეთ „რეზონანსისათვის" მიცემულ ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თითქოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის დროს იგორ გიორგაძეს იარაღის შესაძენად რესპუბლიკიდან გატანილი 170 მილიონ რუბლად ღირებული ძვირფასი ლითონების ნაცვლად ნაგვით სავსე ყუთები შემოიტანა. ბატონი იგორ გიორგაძე ამას ცილისწამებად მიიჩნევს და მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი აცხადებს, რომ ჯერ კიდევ 1994 წლის მარტში რესპუბლიკის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე დასახელებულ ფასეულობათა ადგილსამყოფელის დასადგენად, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის სექტემბრის განკარგულებით შესანახად კომერციულ სტრუქტურებს ჰქონდათ გადაცემული. აღნიშნული ძვირფასეულობით საზღვარგარეთ შეძენილი იყო რესპუბლიკისათვის ხორბალი. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ ფასეულობათა უსაფრთხოების მიზნით, იგი შესანახად ჩაბარდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, სადაც ამჟამადაც ინახება. ამ [illegible] რთული შემადგენლობის გამო, დღემდე ვერ მოხერხდა კომპეტენტური სპეციალისტების მიერ ამ სასაქონლო ექსპერტიზის განხორციელება. ასე რომ, ქალბატონ სარიშვილი-ჭანტურიას მიერ ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრება ძვირფასეულობის გაფლანგვის შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება. ბატონ გიორგაძის აღნიშნულ განცხადებას სამხედრო პროკურატურა განიხილავს დასახელებული სისხლის სამართლის საქმის კონტექსტით და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ განაცხადა, რომ დადგენილია ვაუჩერების ნომინალური ღირებულება და იგი შეადგენს 30 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია სხვა ქვეყნების, მაგალითად, რუსეთისა და უკრაინის ვაუჩერების ღირებულებასთან შედარებით. აღნიშნული ნომინალის განსაზღვრაში, მინისტრთა კაბინეტთან ერთად, მუშაობდნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.

თ. ბასილიას თქმით, ვაუჩერების დარიგება დაიწყება მარტში.

თბილისი. 26 თებერვალს, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის კონფერენციაზე, კავშირის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრმა აკაკი ასათიანმა განაცხადა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება და მთავრობა ქვეყანას კრიზისიდან ვერ გამოიყვანს. ხელისუფლება და მთავრობა უნდა შეიცვალოს, მაგრამ მშვიდობიანად — არჩევნების გზით, მან თავისი საარჩევნო ციკლი უნდა შეასრულოს.

ა. ასათიანის თქმით, თუ საქართველოში იქნება დემოკრატია და ეკონომიკა წავა კაპიტალიზმის გზით, სწორედ მაშინ აიღებს საქართველო დასავლეთზე ორიენტაციას და იგი გამოვა დღევანდელი კრიზისიდან.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტის დროს ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად საქართველოში ეკონომიკური რეფორმები ნორმალურად მიმდინარეობს, შესაძლოა უფრო უკეთესად, ვიდრე ეს, მაგალითად, მოლდოვის რესპუბლიკაში ხორციელდება.

„კუპონის რევალვაციის პროცესი საკმაოდ ოპტიმისტურ საფუძველს გვაძლევს“

(დასასრული)

არსებული მონაცემებით, ბიუჯეტის წინაშე დიდი დავალიანება აქვთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს: თბილისში — 2,5 ტრილიონი კუპონი, რუსთავში — 6 ტრილიონზე მეტი (მივმართავ ბატონებს არეშიძეს, ქაშაკაშვილს, არჯევანიძეს და სხვებს, ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა. ვფიქრობ, რომ ამ თვეში მათ უკვე უნდა თქვან თავიანთი სიტყვა), ქუთაისში — 722 მილიარდი, სამტრედიაში — 150 მილიარდი, ზესტაფონში — 700 მილიარდი, თერჯოლაში — 170 მილიარდი, ფოთში — 489 მილიარდი, გარდაბანში — 1,5 ტრილიონი კუპონი და ა. შ.

როგორც საგადასახადო ინსპექციის მიერ მოკვლეული მასალები ცხადყოფს, საწარმოები და ორგანიზაციები ბიუჯეტს უმალავენ მნიშვნელოვან თანხებს, რის გამოც, საბოლოო ანგარიშით, თვითონვე ირთულებენ საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას, რადგან სანქციებისა და საურავების სახით დარიცხული თანხები გაცილებით მეტია, ვიდრე საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი. ამ გადასახადების დამალვასთან დაკავშირებით მინდა ვთხოვო იუსტიციის მინისტრს ბატონ თედო ნინიძეს მოიფიქროს, რა დამატებითი ღონისძიებები იქნება საჭირო სამართლებრივი თვალსაზრისით.

გასულ კვირას საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებულ 144 საწარმოსა და ორგანიზაციაში სხვადასხვაგვარი დარღვევებისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გადასახადად დაკისრებულმა თანხამ ნახევარ ტრილიონზე მეტი კუპონი შეადგინა. ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგად ასევე დამალული აღმოჩნდა 188 მილიარდი კუპონი შემოსავალი.

კვლავ პრობლემად რჩება ფქვილისა და პურის რეალიზაციის შედეგად ფიქსირებული გადასახადის ამოღება. 1995 წლის 23 თებერვლამდე ბიუჯეტში არ ჩარიცხულა 4,5 ტრილიონი კუპონი, თუმცა იგი მოსახლეობას უკვე გადახდილი აქვს. ამაზე, ალბათ, სპეციალურად უნდა ვიმსჯელოთ. ჩემი აზრით, დეპარტამენტი, ბატონი ბურჯანაძე ყველაფერს არ აკეთებენ იმისათვის, რომ ეს პრობლემა მოხსნან და საჭირო ზომები მიიღონ. ეს ეხება სხვა საფინანსო და საბანკო ორგანიზაციებსაც.

ფინანსთა სამინისტრომ, საგადასახადო ინსპექციამ, ეკონომიკის სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა და მთლიანად მინისტრთა კაბინეტმა, სახელმწიფოს მეთაურის არაერთი დავალებისა და მითითების მიუხედავად, ვერ მოახერხეს ამ გადასახადის ამოღების ქმედითი სისტემის შექმნა. აღნიშნულ პრობლემებს სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ქალაქების მერიები და რაიონების გამგეობები. დღემდე არ სრულდება ბრძანებულება ხორბლისა და ფქვილის ცენტრალური სახელმწიფო რესურსების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ვერ გადაწყდა პურპროდუქტების წარმოებისა და ვაჭრობის რგოლებში წინასწარი გადახდის მექანიზმის დანერგვა და ამ მიზნით კორპორაციისათვის საწყისი საბრუნავი კაპიტალის — 3,5 ტრილიონი კუპონის გამოყოფა. არადა, შეიძლება ეს გამოსავალი იყოს. ჩემი წინადადება ასეთია: თუ მისაღებია — მივიღოთ, თუ არა, მაშინ სხვა რაიმე არის მოსაფიქრებელი. ამ მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია.

რადიომსმენელმა შეიძლება გკითხოს: გამოსვლებში დიდ ყურადღებას უთმობთ გადასახადებს, მოითხოვთ გადასახადის გადახდას, ჩვენს მდგომარეობას კი არ ითვალისწინებთო. ვიცი, რა მდგომარეობაშიც არის დაახლოებით 400 ათასზე მეტი მოქალაქე, რომელთა ცხოვრების დონე მინიმუმის ზღვარსაც ვერ აღწევს, არიან ისეთებიც, რომლებიც კიდევ უფრო მძიმე და რთულ პირობებში ცხოვრობენ. მაგრამ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: რის, რომლებსაც წარმოება, გადასახადი და ბიუჯეტი ეწოდება, თუ არ შესრულდა ამ კომპლექსის პირველი ნაწილი, — წარმოება და გადასახადი, ბუნებრივია არ შესრულდება ბიუჯეტიც. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ ყველამ, რომ ბიუჯეტი არის იმ აუცილებელი მინიმალური კეთილდღეობის წყარო, რომლიდანაც შეიძლება ადამიანებმა მიიღონ ხელფასი, გაიზარდოს ხელფასი, პენსიები და ის დანახარჯები, რაც მოქალაქეთა პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ახლა, როგორც იტყვიან, ყველაფერი ბიუჯეტს ებჯინება. ამიტომ, ვამახვილებ ჩემს გამოსვლებში ძირითად ყურადღებას ამ უმნიშვნელოვანესი წყაროს შევსების პრობლემებზე.

საანგარიშო კვირის მანძილზე კვლავ რთული მდგომარეობა იყო ენერგეტიკის სფეროში. ელექტროენერგიის სადღეღამისო მოხმარებამ რესპუბლიკაში 20 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების ეს დონე არც ისე დაბალი და ცოტაა. განაწილების მკაცრი და სწორი კულტურის პირობებში ამუშავდება მრეწველობაც, შემუშავდება მოსახლეობისათვის მიწოდების გრაფიკიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კულტურა და დისციპლინა, ჯერჯერობით, ვერ ჩამოყალიბდა.

გუშინწინ სახელმწიფოს მეთაურთან გამართულ საგანგებო სხდომაზე ვიმსჯელეთ ამ საკითხებზე და, ვფიქრობ, გარკვეულ ძვრებს უნდა მივაღწიოთ. დღის წესრიგში არის ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილებანი. გადაწყვეტილებებს უახლოეს დღეებში მივიღებთ.

ორიოდე სიტყვა საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით. გამოვყოფდი საწვავის შემოზიდვის პრობლემას. მინისტრთა კაბინეტმა სერიოზულად იმუშავა, კერძოდ, ბატონმა ბაკურ გულუამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა ეს საკითხი და ერთგვარი გარკვეული ძვრებიც არის. კახეთში, მაგალითად, დღეისათვის 700 ტონაზე მეტი დიზელის საწვავია შეტანილი. მინისტრთა კაბინეტში ახლა ასევე საგანგებო ზომებს იღებენ სათესლე მასალის მომარაგების პრობლემასთან დაკავშირებით. გაიმართება რეგიონული თათბირები მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის საკითხებზე, დღის წესრიგშია ამ დარგებისადმი საბაზრო ეკონომიკის პროცესების შესაბამის მიდგომათა განსაზღვრა. ასეთი ოპერატიული თათბირები აუცილებელია. მოვუწოდებ მინისტრთა კაბინეტსა და სხვა შესაბამის უწყებებს, დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები, რადგან დრო გადის, სეზონი ახლოვდება და ასეთ ვითარებაში დიდხანს ყოფნა აღარ შეიძლება. იგივე უნდა ითქვას სხვა დარგების მიმართაც.

ერთგვარი ძვრები შეიმჩნევა განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, რომლის ოცმა საწარმომ იანვარში 50 მილიარდი კუპონის სასაქონლო პროდუქცია გამოიმუშავა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ მაინც გარკვეულ გამოცოცხლებაზე მეტყველებს. ამ მხრივ ძალიან იმედისმომცემია ისეთი ქარხნების საქმიანობა, როგორიც არის გაზის აპარატურის ქარხანა, „საქავტომანქანა“, საცდელ-ექსპერიმენტული ქარხანა, მექანიკური ქარხანა და ზოგიერთი სხვა.

ცუდად არ მიდის მატყლის შესყიდვისა და გადამუშავების საქმე, რომელიც, როგორც იტყვიან, დაიძრა მკვდარი წერტილიდან. უკვე შესყიდულია 800 ტონამდე მატყლი, რის შედეგად ამუშავდა ორი მატყლის სარეცხი ფაბრიკა, მაუდ-კამვოლის კომბინატი და სამკერვალო ფაბრიკები. ეს ყველაფერი საკუთარი რესურსების ხარჯზე ხდება და ამიტომაც აღვნიშნავ თითქმის ყველა გამოსვლაში.

— ჩვენი გაჭირვებული თუ უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ შედეგის მიხედვით მაინც ძნელად აღსაქმელი.

— ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ შევძლებთ მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას ბიუჯეტის გარეშე და მისი გვერდის ავლით, ეს მხოლოდ ილუზიებია. რადაც უნდა დაგვიჯდეს, მთელი ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურები, კერძო თუ სახელმწიფო ბიზნესი შემართული უნდა იყოს იმისათვის, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილები შესრულდეს. ეს იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ წლის პირველი ნახევრის დასასრულს, მას შემდეგ, რაც ეროვნული ვალუტა შემოვა, ვიფიქროთ ხელფასის გაორმაგებაზეც კი. ყოველ შემთხვევაში, 50-60 პროცენტით გადიდებაზე.

მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო ეგრეთ წოდებულ გაკოტრებულ ბანკებს. თუ ფორმალურად ვიმსჯელებთ, სახელმწიფო არავითარ პასუხს არ აგებს — არის კერძო ბანკი, კერძო წარმონაქმნები, არის მოსახლეობის ურთიერთობა მათთან. გაკოტრდა ბანკი, პასუხი აგოს იმან; ვინც ხელშეკრულება გააფორმა მოქალაქეებთან.

მაგრამ, ჩვენ ამას ასე არ ვუდგებით. თითქმის ყოველდღიურად მიმდინარეობს ამ საკითხებზე მსჯელობა, ვეძებთ გზებს, შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია ბატონ თემურ ბასილიას ხელმძღვანელობით, შეიქმნა სპეციალური სამთავრობო სტრუქტურა ლაშის დეპარტამენტის დონეზე. შესაბამისად დაინიშნება ხელმძღვანელიც.

ვეძებთ სხვა გზებსაც, თუ რით დავეხმაროთ მოტყუებულ მოქალაქეებს. მთავრობამ გაითვალისწინა მათი მდგომარეობა და 1994 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება, რომლითაც ადგილობრივ ორგანოებს, ფინანსთა სამინისტროსთან და ეროვნულ ბანკთან ერთად, დაავალა განახორციელონ საგანგებო ზომები, რათა ასეთი ახალი ბანკები და ორგანიზაციები აღარ აღმოცენდეს. გარდა ამისა, არის კიდევ ზოგიერთი რამ, რის შესახებაც შეიძლება დღეს არ იყოს საჭირო ლაპარაკი. ვფიქრობთ, რომ ვაუჩერების გაცემასთან დაკავშირებით შესაძლებელია მოვახერხოთ ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის გარკვეული შეღავათის მიცემა.

მინდა დავარწმუნო ყველა: რის გაკეთებაც შეიძლება, ყველაფერს შევეცდებით, რათა ამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს, დახმარების ხელი გავუწოდოთ. როგორ მოხდება ეს პრაქტიკულად, რით გამოიხატება რეალურად — ამას კიდევ სამი-ოთხი დღის მუშაობა დასჭირდება და მინისტრთა კაბინეტი გამოაცხადებს.

—გასული კვირის მეტად აქტუალური, სენსაციური თემა იყო ამჟამად აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მორიგი ბრალდება. ბატონი იგორ გიორგაძე ბრალდებას უარყოფს. თქვენ თბილისში შეხვდით აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, სავარაუდოა, რომ ესაუბრეთ ბატონ გიორგაძესა და ბატონ აბაშიძეს. როგორ განმარტავდით შექმნილ [illegible] ლური ხელისუფლება გეგმავს ტერორისტულ აქტებს თუ გიორგაძე არ ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას?

— მინდა გულახდილად ვუთხრა ყველას, უწინარესად, აჭარის მოსახლეობას, მოქალაქეებს, რომ დღეს, ჩვენს პირობებში ამ თემაზე (ტერორისტული აქტის დაგეგმვაზე) საუბარიც კი აბსურდულად მიმაჩნია. წინათ, სამოქალაქო ომის დროს, ზოგი რამ მართლაც შემაშფოთებელი ხდებოდა. ახლა, როცა ვიძიებთ კიტოვანის საქმეს, აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლებიც მართლაც იძლევა საფუძველს განვაცხადოთ, რომ იმ პერიოდში, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ამოძრავებდათ აზრი მოეხდინათ რაღაც პროცესის პროვოცირება. ამ ეტაპზე კი რაიმე ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ტერორისტულ აქტებს გეგმავს, ვიმეორებ, აბსურდია. დღეს უშიშროების სისტემის შექმნა (ჯერ კიდევ არ არის ეს სამსახური სრულად ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი) მიზნად ისახავს წინათ არსებულ უმსგავსობათა, ტერორიზმის, როგორც მოვლენის, აღმოფხვრას. თვით ეს სისტემა ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრებიდან გამოირიცხოს ტერორიზმი, ამასთან დაკავშირებით, უშიშროების სისტემაში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურები, რომლებსაც უკვე კავშირი აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოსთან, იზიარებენ გამოცდილებას, ტექნიკურად აღიჭურვნენ, ასე რომ, ამ თვალსაზრისით დიდი მუშაობა მიმდინარეობს.

არ არსებობს არავითარი საფუძველი ეჭვებისთვისაც კი. მინდა ეს მოისმინონ აჭარაში. ეტყობა, პროვოკატორები საკმაოდ მოხერხებულად მოქმედებენ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. როგორი შესაშური ენთუზიაზმით აიტაცებენ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები ყოველგვარ ჭორსა და მონაგონს. ჭორების შეთხზვის ოსტატები რომ ბევრი გვყავს, კარგად მოგეხსენებათ. განა შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ დღეს ნორმალური ადამიანები საქართველოს ხელისუფლებაში ისწრაფვოდნენ არასტაბილურობისაკენ აჭარაში, ან რომელიმე სხვა რეგიონში. ჩვენ ვადამკვდარი ვართ იმაზე, რომ დედაქალაქში წესრიგი დამყარდეს. ქუთაისში, მაგალითად, წესრიგი დამყარდა, ეს გვიამაყება და გვესახელება. ვცდილობთ კახეთში წესრიგი იყოს, ქვემო ქართლში დაიწყო უზარმაზარი ღონისძიებები. სვანები შეწუხდნენ, რომ მათ თავის დროზე ვერ მივხედეთ და ახლა იქ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად 1200-ზე მეტი კაცი მუშაობს. სამეგრელოში, ღმერთის წყალობით, გაცილებით უკეთესი ვითარებაა. არის ხელისუფლებაში ადამიანი, რომელიც ფიქრობს არასტაბილურობის კერის შექმნაზე? ეს მაშინ, როცა ქვეყანაში წესრიგის დამყარება ჩვენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გენერალური ხაზია, რადგან ამაზე იქნება დამოკიდებული ინვესტიციები, კრედიტები და მომავალში საქართველოს კეთილდღეობა და ერთიანობა.

ერთხელ კიდევ ვაცხადებ საჯაროდ: აჭარის მოქალაქეებს, მათ შორის ბატონ ასლანსაც, შეუძლიათ იმუშაონ და იღვაწონ მშვიდად. ვიმეორებ, არ არსებობს არავითარი საფუძველი შეშფოთებისა და განგაშისათვის. აჭარის, ისევე როგორც საქართველოს რომელიც გნებავთ სხვა რეგიონის მიმართ მტრობა — საქართველოს მტრობაა. საქართველოს მტრებს და ავანტიურისტებს როგორც [illegible] ქცევით, ვფიქრობთ, ამის მაგალითები უკვე გვაქვს.

— გასულ კვირას თქვენთან გამართულ თათბირზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული იყო ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებული საკითხიც. ამ თარიღს ყველა ქვეყანა აღნიშნავს, მათ შორის გერმანია. გასაგებია, რომ მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, ჩვენს ვეტერანებს სათანადო დახმარებას ვერ ვუწევთ. თათბირზე გამოიკვეთა აზრი, რომ ყველაზე მეტად ამ ადამიანებს აწუხებთ, თუ შეიძლება ითქვას, მათი მორალური რეაბილიტაციის პრობლემა. სხვათა შორის, რეპლიკებს — რატომ ომობდით, ვინ გეხვეწებოდათო, აფხაზეთში ნაომარი ბიჭების მიმართაც გაიგონებთ... მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ჯარისკაცი ყოველთვის მართალია, იგი ბრძანებას ასრულებს...

— იმ შეხვედრაზე ვთქვი, რომ ფაშიზმის განადგურება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ცივილიზაციის, დემოკრატიის განვითარების ისტორიაში. ქართველი ხალხის მონაწილეობა ფაშიზმზე გამარჯვებაში უნდა განვიხილოთ, როგორც ცივილიზაციისა და დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი უნიკალური წვლილი. რაც შეეძლო მცირერიცხოვან ხალხს გაეკეთებინა, იმაზე მეტი გააკეთა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს არის უნიკალური წვლილი. მხედველობაში მყავს 300 ათასი გმირულად დაღუპული ჩვენი თანამოქალაქე — ქართველები, სომხები, აფხაზები, ოსები, რუსები, აზერბაიჯანელები, ებრაელები და სხვები, რომლებიც გმირულად დაეცნენ, მხედველობაში მყავს სამამულო ომის 700 ათასამდე მონაწილე, დაწყებული რიგითი მელიტონ ქანთარიათი, რომელმაც ეგოროვთან ერთად, დროშა აღმართა რაიხსტაგზე და უმაღლესი მთავარსარდლით დამთავრებული. ესეც საქართველოს წვლილია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს თარიღი უნდა აღინიშნოს ღირსეულად იმ წვლილის შესაბამისად, რომელიც შევიტანეთ.

რაც შეეხება სხვა ომებში მონაწილეებს, მათ შორის, აფხაზეთში, სხვა რეგიონში, მიმაჩნია, რომ ყოველგვარი დაპირისპირება უზნეობა და ყოვლად მიუღებელია. ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ მათთვის, ვინც საქართველოსათვის, ქვეყნისა და სახელმწიფოსათვის იბრძოდა. ის ადამიანები, რომლებიც სამამულო ომში მონაწილეობდნენ, იბრძოდნენ საქართველოსათვის და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისათვის. ის ბიჭები, რომლებიც იბრძოდნენ აფხაზეთში, იბრძოდნენ საქართველოსათვის და ასევე ზოგადსაკაცობრიო იდეალებისათვის. ასე რომ, სახელმწიფოს ზრუნვა ყველას მიმართ საერთო-სახალხო უნდა იყოს.

— გასულ კვირას, ჩვენმა პარლამენტმა საკმაოდ დიდხანს იმსჯელა ზურაბ სამუშიას შესახებ. უშიშროების სამსახურმა, სხვა სამართალდამცველმა ორგანოებმა, განაცხადეს, რომ არ იციან სად არის იგი, მისი ადგილსამყოფელი, არც ოჯახმა იცის...

— ზურაბ სამუშიას ვიცნობ, შევხვედრივარ, როგორც იტყვიან, საქმეში, ბრძოლებში. ხმაური მის შესახებ საკმაოდ „უსაფუძვლოდ“ მიმაჩნია და მაგონებს „აურზაურს არაფრის გამო“. დარწმუნებული ვარ, რომ ზურა- [illegible] ით ამოიწურება. ბიჭებში, რომლებიც შედიოდნენ იმ რაზმში, კიტოვანი რომ აფინანსებდა, იყვნენ დამნაშავეები, რეციდივისტები, ქურდები, მკვლელები, მაგრამ იყვნენ უპატიოსნესი ბიჭებიც, უპატიოსნესი ადამიანებიც. მათ მართლა დაიჯერეს, რომ აფხაზეთის განთავისუფლებლად მიდიოდნენ. რა თქმა უნდა, ეს ხალხი უნდა გამოიკვეთოს, გამოვარჩიოთ და მათ პასუხი არ უნდა აგონ კანონის წინაშე.

— დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სასამართლო პროცესმა ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, მხედველობაში მაქვს გელბახიანის, დოკვაძის, დომუხოვსკისა და სხვათა პროცესი, რომელიც დასასრულს უახლოვდება. ბევრს ლაპარაკობენ სასჯელთან დაკავშირებით. არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც, საერთოდ, სიკვდილით დასჯას ეთანხმება ზოგადად, როგორც მოვლენას და კონკრეტულად ამ პიროვნებათა დასჯის მომხრეა. არის საზოგადოების ასევე დიდი ნაწილი, რომელიც სიკვდილით დასჯას არ იღებს და კონკრეტულად ამ პიროვნებების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია...

— ამ საქმესთან დაკავშირებით ვიცი, რომ მიმდინარეობს მთელი კამპანია, გროვდება ხელმოწერები და სხვა. აკრძალვით ვერავის ვერ ავუკრძალავ, მოაწერს თუ არა ხელს ამა თუ იმ დოკუმენტს, ეს მისი უფლება და საქმეა. ჩემი აზრით, ასეთი რამ მაინც ყოვლად ზედმეტია. მინდა ყველამ დაიმახსოვროს: სასამართლო აბსოლუტურად დამოუკიდებელია. მასზე ზეგავლენას ვერც განცხადება მოახდენს და ვერც ვერავითარი სატელეფონო ზარი. სასამართლო მომავალშიც კიდევ უფრო დამოუკიდებელი იქნება. მხოლოდ კანონი, ფაქტები და მოსამართლის სინდისი არის განმსაზღვრელი იმისა, რასაც განაჩენი ჰქვია. ვიმეორებ — ფაქტები, მტკიცებანი, კანონი და მოსამართლის სინდისი. ეს გადაწყვეტს იმ ადამიანების ბედს, რომლებიც დღეს საბრალდებო სკამზე სხედან.

რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, ნორმალური ადამიანი არ შეიძლება იყოს სიკვდილით დასჯის მომხრე. ეს არის იძულება, საზოგადოება იძულებულია დატოვოს ძალაში ეს სასჯელი მანამ, სანამ სხვა გზებითა და საშუალებებით ვერ უზრუნველყოფს მოქალაქის სიცოცხლის სრული გარანტიების შექმნას.

სხვათა შორის, ეს საკონსტიტუციო საკითხია. ახალ კონსტიტუციაზე მუშაობისას ჩვენ ამაზე ბევრს ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ. შეიძლება ეს ერთ-ერთი ისეთი საკითხი იყოს, რომელიც საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გავიდეს. როგორ იქნება მომავალში, ცხოვრება გვიჩვენებს. ჯერჯერობით ეს კანონი ძალაშია და მოქმედებს.

რადიოინტერვიუს უძღვებოდა ჟურნალისტი
ნატო ონიანი.

საზოგადოების — „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“ წევრები ცხინვალს ეწვიენ

სასიკეთოდ გაწვდილი ხელი

თეთრი, პატარა ავტობუსი, რომელსაც რუსეთის ფედერაციის დროშა ამშვენებდა, აღმართს შეუყვა და თბილისური მზიანი ამინდის შემდეგ შუა ზამთარში ამოვყავით თავი. მოფარფატე ფანტელებს შუადღის სუსხი ჩამოჰქონდათ დედამიწაზე.

თბილისიდან ერგნეთამდე საუბარი არ შეგვიწყვეტია, ახლა გავისუსენით და ხანდახან თუ გადავულაპარაკებდით ერთმანეთს.

დაკვირვებით გავცქეროდი ასე ნაცნობ და ამდენი ხნის უნახავ მთაგორებს. მალე დათოვლილი ნაძვებით ცხინვალიც გამოჩნდა. ახლობელი ცხინვალი, ასე შორეული რომ გამხდარა ახლა, პირველად ზღუდერი — ცხინვალელთა უკანასკნელი ნავთსაყუდელი შემოგვეგება, ისიც თოვლქვეშ გასუდრულიყო. მიდიოდა ავტობუსი და ერთმანეთს ენაცვლებოდა კოპწია სახლები, ზოგან მოჩუქურთმებული ქართული აივნებიც შემოგვეფეთა.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს ცხინვალი.

ის, რაც ოსეთში მოხდა, ეს ჩვენი ორივე ხალხის საერთო სატკივარია. ამიტომ ახლა ერთმანეთს კი არ უნდა ვაბრალოთ რაღაცეები, ამას უჩვენოდაც კარგად აკეთებენ პოლიტიკოსები, ჩვენ, ქალებმა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ერთად ვიცხოვროთ მშვიდობიანად და სიამტკბილობით.

დიდხანს ვეძებდით ოსი ქალების გულებისკენ მიმავალ გზას. ასე აღარ შეიძლებოდა გაგრძელება. ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“ წევრებს არ შეგვეძლო გულგრილად, პასიურად გვეცქირა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისთვის. მოგეხსენებათ, ქალებს ბევრი რამე შეგვიძლია, ქალი საკუთარ ოჯახში შექმნილი სულისკვეთებითაც კი ეხმარება ქვეყნის შენებას.

დახმარება ვთხოვეთ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულს შიდა ქართლში ბატონ ვაჟა ხაჭაპურიძეს, რომელსაც თავი არ დაუზოგავს იმისათვის, რომ ჩვენი ჩანაფიქრი განხორციელებულიყო. სწორედ მან დაგვაკავშირა რუსეთის საელჩოსაც. სწორედაც რუსეთის საელჩოს და შერეული საკონტროლო კომისიის წევრის, მოსკოველი ქალბატონის ნაილი მალიკოვას დამსახურება იყო, ჩვენ რომ ცხინვალს ვესტუმრეთ.

რუსეთის სამშვიდობო ჯარების შტაბის უფროსმა ნიკოლოზ პუზინამ და გენერალმა ვიქტორ კონსტანტინოვმა უსაფრთხოება აღგვითქვეს და ცხინვალის ერთ-ერთ სამკურნალო დაწესებულებას ვეწვიეთ ჰუმანური დახმარების ტვირთით.

დიდი სიხარული და აღფრთოვანება არ გამოუხატავთ ჩვენს დანახვაზე მასპინძლებს. პირიქით, ერთმა ექიმმა კარისკენაც მიგვითითა და ჯიქურ მოგვაძახა: — მიბრძანდით აქედან, ახლა გაგახსენდით? მაშინ სად იყავით, თქვენებმა რომ 15-ჯერ დაბომბეს [illegible] სახლები, ჩვენები დაგვიხოცეს და დაგვიჭრეს.

მთავარი ექიმის კაბინეტშიც თვალცრემლიანები იხსენებდნენ [illegible] ომის საშინელებებს.

ჩვენც ნელ-ნელა ჩავებით საუბარში. თვალებში აკიაფებულმა თანაგრძნობის ცრემლებმა მათი გულიც გაათბო და სულ ცოტა ხანში ერთმანეთის პირისპირ ვისხედით არა როგორც მტრები, არამედ მოკეთე დედები, დები, ქალები, რომლებსაც არავითარი დანაშაული არ მიგვიძღოდა ერთმანეთის წინაშე, როგორც ოსები, ისევე ქართველებიც ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ერთი ქვეყნის, ერთი მიწა-წყლის შვილები განზრახ წაგვკიდეს, გადაგვამტერეს ერთმანეთს, დროა, გონს მოვეგოთ,

თურმე რამდენი რამ არ გვცოდნია ერთმანეთისა. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენც და ისინიც მოკლებული ვართ ინფორმაციას, მათ ჩვენზე თითქმის არაფერი იციან, თორემ როგორ შეიძლება სამეგობროდ გამოწვდილ ხელს უარი უთხრა. როდესაც ჩვენი გაზეთი „მშვიდობა ყველასთვის“ ვაჩუქეთ, ერთმა ქალბატონმა გაკვირვებულმა მკითხა, ნუთუ თქვენი ფაშისტური მთავრობა ასეთი გაზეთის გამოცემის უფლებას გაძლევთო?

როდესაც დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ახლანდელი მთავრობა პრეზიდენტყოფილის საქციელს გმობს, ჩვენ კი ის ქალები ვართ, რომლებიც წინ აღვუდექით ცხინვალისკენ ე. წ. მშვიდობიან ლაშქრობას, ცოტა მოლბნენ, შეკითხვებიც დაგვაყარეს და როცა გაიგეს ჩვენი საზოგადოების პრეზიდენტი და ამ გაზეთის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნანული შევარდნაძე იყო, გაოცება ვეღარ დაფარეს. მაშინ ერთმა ქალბატონმა გულისწყრომა ვერ დამალა და, კი არ გვითხრა, შემოგვლალადა: მაშ, სად იყავით აქამდე, ასე რატომ დააგვიანეთო?

დიდხანს ვსაუბრობდით და ერთ დასკვნამდე მივედით. ერთად ცხოვრების ფორმები და საშუალებები უნდა გამოვძებნოთ. ამას [illegible] უნდა შევალიოთ ჭკუა და გონება.

ძვირფასო ცხინვალელებო, — თქვენთან სტუმრობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ყოველივეს მიუხედავად, რაც მოხდა საერთო ენის გამოძებნა კვლავ შეიძლება.

სამედიცინო დაწესებულებიდან გამოსულებმა სასაფლაო მოვინახულეთ, მერე კვლავ რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბში შევხვდით ოს ქალბატონებს, რომლებიც მშვენიერი ქართულით გველაპარაკებოდნენ.

ქართველი კაცი ოსებთან მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობას ითხოვს. ჩვენ გვჯერა, და, ვფიქრობთ, თქვენც დაგვარწმუნოთ, რომ ჩვენი შერიგება სავსებით შესაძლებელია ურთიერთნდობისა და კეთილი ნების პირობებში.

ჩვენი მასპინძელი, სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი ბატონი ნიკოლოზ პუზინი, რომელმაც საშუალება მოგვცა ცხინვალი მოგვენახულებინა, ყველაფერს ღონობდა, რომ რაც შეიძლება მეტ ხალხს შევხვედროდით. არასოდეს დამავიწყდება მისი სიტყვები, მხოლოდ თქვენი, ქალების ძალისხმევით შეიძლება ამ ცოდვილ დედამიწაზე მშვიდობის დამყარებაო.

ცხინვალიდან წამოსვლისას ერთმა ქალბატონმა გვითხრა: ღმერთმა ძალა და გაძლება მოგცეთ, ის საქმე, რაც თქვენ წამოიწყეთ, მშვიდობით დაგვირგვინებულიყოსო.

ჩვენი საქმე კი ყველას საქმეა აფხაზებისაც და რუსებისაც, ოსებისაც და ქართველებისაც, ყველა ეროვნების ადამიანებისა, ვისაც კი მშვიდობა სურს მთელ ქვეყანაზე.

ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის რეზო გურგენიძის და რუსი გენერლის ვიქტორ კონსტანტინოვის სიტყვები წვეთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს:

მშვიდობა თქვენ უნდა დაამკვიდროთ, მშვიდობას იარაღით ვერ [illegible]!

აგაშენოთ ღმერთმა, თუ სამხედროები ასე ფიქრობენ, ჩვენ ქალები, მითუმეტეს სამშვიდობო მოლაპარაკების მომხრენი უნდა ვიყოთ. ნუ მივენდობით გადამთიელებს, მოძალადეებს. ასეთები თქვენს გვერდით და ჩვენთანაც, სამწუხაროდ, დღესაც არიან. ამასწინანდელი სატელევიზიო გადაცემაც ამის დასტურია. ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარის ნანი ჭანიშვილის გამოსვლა დაამახინჯა ცხინვალის ტელევიზიამ. ჩვენს ქალებს ცილი დასწამა და კვლავ შუღლის გაღვივება სცადა. ნუ ვენდობით ასეთ ადამიანებს, ერთმანეთის გადამტერების მოსურნეებს, რომელთაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა ახსოვდეთ, რომ ტყუილი და მართალი ბოლოს მაინც [illegible].

ცხინვალში ყოფნისას ისიც შევამჩნიეთ, რომ ბევრ ქალბატონს აღშფოთება გამოუხატავს ჩვენი სტუმრობის გამო, მთავრობის [illegible] უკმაყოფილებაა ჩვენი მასპინძლებისთვის.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი მომავალი მასპინძლები სწორედ ის ქალბატონები იქნებიან, რომლებიც ჩვენმა პირველმა ჩამოსვლამ გაანაწყენა; იქნებიან, რადგან მათი გონიერებისა და ჩვენი დიდი და საშვილიშვილო მისიის გვჯერა.

კმაყოფილები და შთაბეჭდილებებით აღსავსენი მოვდიოდით ცხინვალიდან მერი სალუქვაძე, თამარ ჯაში, ლიანა ნაკაიძე და ცაალა ხინთიბიძე, ნანა გაბუნია და ლია კორძაია.

მძიმე, იყო ის დღე ცხინვალში, მიუხედავად რეალური საშიშროებისა, უკან არ დაგვიხევია. ეტყობა, ღმერთიც გვფარავდა სასიკეთო საქმეზე წასულებს.

ნელ-ნელა ეფარებოდა თვალს განათებული ცხინვალი. ჩემმა მეგობარი ოსი მწერლის ერთი პუბლიცისტური წერილი გამახსენდა, რომელიც ცხინვალში ყოფნის შემდგომ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჩემთვის!

„მოდით კვლავ თავაზიანად გავიწვიოთ საცეკვაოდ ოსმა ჯიგიტებმა ოსი და ქართველი ასულები, გავიხსენოთ ნატიფი „ხონგა“, ოსური „სიმდი“ და ქართული „ფერხული“, სად ვიცეკვოთ, მერე? ჩვენი ქორწილები ქორწილებს აღარა ჰგავს, ზეიმი ზეიმს! სად გაგონილა ოსთა ქორწილი უქართველებოდ, ქართველთა ქორწილი უოსებოდ! ვამაროთ დღემდე ჩვენს პირისუფალ საქართველოს გაჭირვების ჟამს ღალატი.

ომს დიდი და საშინელი კვალი დაუმჩნევია აქაურობისთვის, სადღაა ხალხმრავალი ქუჩები და ხმამაღალი მუსიკა, სამეცნიერო კონფერენციები და შადრევნის [illegible] თეატრალურ მოედანზე, ნეტავ სულ მალე კვლავ ასეთი ყოფილიყოს ცხინვალი.

...ამ დღეს ცხინვალის სამშობიარო სახლში ბევრი ოსი მოევლინა ქვეყანას, მათ შორის ერთი ქართველი გოგონაც დაიბადა...

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, ცხინვალის ტელევიზიას ხელახლა უჩვენებია ქალბატონ ნანი ჭანიშვილის გამოსვლა, რომლის შესახებაც მანამდე დამახინჯებული ინფორმაცია მიაწოდეს მოსახლეობას.

აღარ არის იმის დრო, პროვოკაციებს დავუჯეროთ, რადგან „არის ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა“.

დადგა უკვე შენების ჟამი!

ღმერთი და ყველა დედის გული იყოს ჩვენი შემწე.

მარადი ანასაშვილი.

მიმართვა ოს ქალებს!

ძვირფასო მეგობრებო!

ამ ძნელბედობის ჟამს მოგმართავთ იმ იმედითა და რწმენით, რომ გამოეხმაურებით ჩვენს მოწოდებას.

მშვიდობა და ჩვენი შვილების ბედნიერება ხომ უმაღლესი ფასეულობაა კეთილი ნების ყველა ადამიანისათვის და მეტადრე ქალებისათვის.

ჩვენ ხომ ერთად გადავიტანეთ შეიარაღებული კონფლიქტების საშინელებანი, ჩვენ ერთად გავხდით მსხვერპლნი გარეშე, ბნელი პოლიტიკური ძალების მიერ პროვოცირებული სისხლიანი შეტაკებებისა, რომლის დროსაც ყველაზე უფრო მეტად დაზარალდნენ ბავშვები, მოხუცები, ქალები. საერთოდ მშვიდობიანი მოსახლეობა. ნაციონალიზმის იდეებით მანიპულირების გზით, ეს ძალები შეეცადნენ დაეთესათ მტრობა, შუღლი და უნდობლობა, გაეწყვეტათ მრავალსაუკუნოვანი ნათესაური კავშირები ჩვენს შორის, მაგრამ ეს ვერ შეძლეს.

რამდენიმე დღის წინ, ცხინვალში მოსახლეობასთან შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ ხალხი დაიქანცა გაუთავებელი კონფლიქტებისაგან და სურს იცხოვროს თანხმობით.

ჩვენ, წინაპართა საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლებმა, ერთად უნდა ვიცხოვროთ ამ მიწაზე და ამიტომაც, საერთო ძალისხმევით ერთად უნდა შევუწყოთ ხელი დაწყებულ სამშვიდობო პროცესებს.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ არ დააყოვნებთ და მხარს დაუჭერთ ჩვენს სამშვიდობო მოწოდებას.

საერთაშორისო საზოგადოება — „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“.

ფაშიზმზე გამარჯვება — 50

ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა

25 თებერვალს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მოიწვია საკოორდინაციო-საგანგებო კომისიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ვიცე-პრემიერები, ძალისმიერი სამინისტროების ხელმძღვანელები, პარლამენტის სპიკერი, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები. დღის წესრიგში იყო რამდენიმე საკითხი. თავდაპირველად ბატონმა ოთარ ფაცაციამ გააკეთა ანგარიში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისა და მათი გამართვის პროგრამის შესახებ. ამ თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია, გამოყოფილია დასაფინანსებელი თანხები.

ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, მათი საპენსიო უზრუნველყოფა. სამართლიანია, რომ ის პირობები, რომლებიც რუსეთში ომის ვეტერანებს შეუქმნეს, მათზეც გავრცელდეს.

ამ ცოტა ხნის წინათ, ყოფილი ხელისუფლების პერიოდში, საქართველოში ეჭვქვეშ დააყენეს ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა.

ფაშიზმის შინნაზარდი აპოლოგეტების ამგვარი მცდელობა ერთი დეტალია ფაქტების იმ რიგში, რომლითაც საქართველოში ამჟამად უკვე დაძლეული პროვინციული ფაშიზმის არსებობა მტკიცდება.

მართალია, ეს განწყობილება ნელ-ნელა ქრება, მაგრამ აქაიქ ჯერ კიდევ გაიგონებთ უსაფუძვლო ბრალდებებს ჩვენი ვეტერანების მიმართ. მათი რიცხვი საქართველოში 40 ათასს აღწევს, გმირთაგან 4 კაციღა შემოგვრჩა. ახლა მაინც მივაგოთ ჯეროვანი პატივი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ადამიანებს. თათბირზე მოწვეულმა ვეტერანებმა, პარლამენტარმა ალექსანდრე ბერიძემ, ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ციციშვილმა და სხვებმა ისაუბრეს საერთო პრობლემებზე, საყვედური გამოთქვეს თავდაცვის სამინისტროსადმი. აღნიშნეს, რომ საინფორმაციო სამსახურები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამამულო ომის თემას, მოუვლელია შინმოუსვლელთა საფლავები და ძეგლები, თუმცა, როგორც გამოირკვა, უკვე ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ვითარების გამოსასწორებლად.

შემდეგ უნდა განეხილათ რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტიდან“ ჯართის გატანის მცდელობის საკითხი. მაგრამ ქარხნის დირექტორი არ გამოცხადდა, იგი მოიხსნა დღის წესრიგიდან. თუმცა, სახელმწიფოს მეთაურმა ძალიან მკაცრად გააკრიტიკა ქარხნის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საქმისადმი.

ქვემო ქართლის მხარეში კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა ამ მხარეში ლევან მამალაძემ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შეკრებილებს გააცნო თურქეთიდან მიღებული წერილი, რომელშიც თურქი მძღოლები აღშფოთებას გამოთქვამენ ტრასებზე არსებული უწესრიგობის გამო. ხშირია ყაჩაღობის, გამოძალვის ფაქტები. თუ ეს ყველაფერი დროულად არ აღიკვეთა (არადა, ამის თაობაზე მრავალჯერ ყოფილა საუბარი), საქართველოს ტრასების სატრანზიტო ფუნქციები ეჭვის ქვეშ დადგება.

დღის წესრიგში იყო აგრეთვე თბილისის თბოელექტროსადგურში მომხდარი ავარიის მიზეზების შემსწავლელი კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილემ კოტე ბასილაშვილმა.

მოგეხსენებათ, თბილსრესში მომხდარმა ავარიებმა გამოიწვიეს პრაქტიკულად ყველა საწარმოს, ტრანსპორტის პარალიზება. აღარაფერს ვამბობთ, ხანგრძლივი დროით უშუქოდ დარჩენილ მოსახლეობაზე. ამჟამად დგინდება ხანძრის გამომწვევი მიზეზები, დამნაშავე მკაცრად დაისჯება. დეპარტამენტ „საქენერგოს“ თავმჯდომარემ გივი გამყრელიძემ დიდი გულისტკივილით ისაუბრა დარგის პრობლემებზე. აღნიშნა, რომ თითქმის აღარაფერია დარჩენილი, სისტემა თავიდანაა ასაწყობი. თუმცა ისიც დასძინა, რომ ვითარებიდან გამოსავალი არსებობს, მთავარია მომხმარებლებმა დროზე გადაიხადონ დავალიანების თანხები, რომელიც ათეულ ტრილიონ კუპონს აღწევს. ენერგეტიკის დარგის მწვავე საკითხებზე ისაუბრა ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა. მან თათბირის მონაწილეებს აღუთქვა, რომ საქმეს ეშველება, თუ ენერგეტიკოსებს მხარში ამოუდგება მთავრობა. მათ სჭირდებათ როგორც მატერიალური, ისე მორალური თანადგომა. მიმდინარეობს დარგის სრული გარდაქმნა, უკვე გამოჩნდა პირველი სასიკეთო ძვრები.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

როგორ ვითანამშრომლოთ საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან

თათბირი სახელმწიფოს მეთაურთან

ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურდა საქართველოში უცხოური ორგანიზაციებისა და ფირმების საქმიანობა. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა უცხოეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების სტრუქტურული სრულყოფა და მათი საქმიანობის კოორდინაცია. ამ მიზნით, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე [illegible] ზაჩიაშვილი და კომიტეტის წევრები.

კომიტეტი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. ესენია — საგარეო ვაჭრობა, ექსპორტ-იმპორტის რეგულირება, დარგობრივი პროექტების შემუშავება და ინვესტიციები, სახელშეკრულებო სამართლებრივი საქმიანობა. აქვეა გაერთიანებული „საქიმპექსი“.

კომიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ საქმიანობაში მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორია. ხშირად სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის საქმიანობა არ არის კოორდინირებული, რაც იწვევს პარალელიზმს. ხდება ისეც, რომ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა ზოგჯერ დარგის ინტერესებს აყენებენ. აღინიშნა, რომ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თანამშრომლები ხშირად არ მონაწილეობენ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების შემუშავებაში. სრულად არ არის გამოყენებული მათი შესაძლებლობები.

თათბირი შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ კომიტეტის შექმნისას იგი ჩაფიქრებული იყო, როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკის წარმმართველი ორგანო, სადაც თავმოყრილი იქნებოდა კოორდინაციისა და კონტროლის ფუნქციები. ხშირად ხდება, რომ ქვეყნებს შორის იდება ძალიან კარგი ხელშეკრულებები, რომლებიც შემდეგ არ მუშაობენ. ასევე არ არის კონტროლი კრედიტების ათვისებასა და განაწილებაზე. ამის გამო გერმანიის ხელისუფლების მიერ გამოყოფილი 30 მილიონი მარკის კრედიტი ჯერაც არ არის ათვისებული. თურქეთის კრედიტის დიდი ნაწილით შეიძინეს პროდუქცია, რომელიც სრულებით არ იყო საჭირო, იმის მაგივრად რომ ეს თანხები წარმოების სფეროში გამოეყენებინათ. ითქვა ისიც, რომ ხშირად საინტერესო იდეა ლაპარაკის დონეს არ სცდება. არ ხდება მაღალკვალიფიციური პროექტების შემუშავება, რაც აფერხებს უცხოელ ინვესტორთა მოზიდვას. მაგალითად, დიდი ხანია მიდის ლაპარაკი თბილისის აეროპორტში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ, საერთოდ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ, მაგრამ კონკრეტული პროექტის უქონლობის გამო ეს საქმე ჭიანურდება.

დასასრულს გადაწყდა, 10-15 დღის ვადით, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე წარმოადგინოს დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებული იქნება შეხედულებები საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, განისაზღვრება გზები, მუშაობა და საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომლობა

ჯეიკ სტივენსი გვაიმედებს

ჯეიკ სტივენსი 48 წლისაა. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი. სპეციალობით ეკონომისტია — 28 წლის მუშაობის სტაჟით, უმუშავია 20 სხვადასხვა ქვეყანაში. ამჟამად არის ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანიის წარმოების დირექტორი. ამ კომპანიამ წლეულს ფართო მასშტაბით დაიწყო სამუშაოები ნავთობის მოსაპოვებლად ლანჩხუთის რაიონში. გთავაზობთ, ჩვენი კორესპონდენტის საუბარს მასთან.

— ბატონო ჯეიკ, როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები?

— ქართველები ძალიან გულთბილი ხალხია, კარგად მიგვიღეს, ყველა დაინტერესებულია, რომ უნაკლოდ განხორციელდეს ჩვენი პროექტი. კონტრაქტი 25 წლით არის დადებული, მაგრამ ამას იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენიც თითოეული წუთის, საათის, დღის მაქსიმალურად გამოყენებას, რათა რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ შედეგი.

— ხომ არ აწყდებით წინააღმდეგობებს თქვენი ამოცანების შესრულებისას?

— ყოველდღიური ცხოვრება საქართველოში ძალიან მძიმეა, ხალხს არ აქვს ელექტროენერგია, წყალი, უპირველესი კვების პროდუქტები. ჩვენ ავსტრალიაშიც ვიცოდით, რომ ასეთი პირობები დაგვხვდებოდა, სიმართლე გითხრათ, უარეს მდგომარეობას ველოდით. ასე რომ, ჩვენს ჩანაფიქრს ვერაფერი შეუშლის ხელს.

— რა იციან თქვენს სამშობლოში — ავსტრალიაში საქართველოს შესახებ?

— დაახლოებით 16 წლის ვიყავი, როცა სტუდენტს დამევალა რომელიმე ქვეყნის მაგალითზე ნავთობის ძიების და მოპოვების პროექტის დამუშავება. ავირჩიე საქართველო. დავუკავშირდი საბჭოთა კავშირის საელჩოს და ვთხოვე მიეცათ ჩემთვის ინფორმაცია საქართველოს შესახებ. საელჩომ გამომიგზავნა წიგნი, რომელშიც მოცემული იყო ვრცელი ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ვიცოდი, რომ ის იყო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა საბჭოთა კავშირში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „საკვების კალათა“, ვიცოდი თქვენი ხალხის სტუმართმოყვარეობის, განსაკუთრებული გემოვნებით მომზადებული კერძების, თქვენ წარმოიდგინეთ, თამადის ინსტიტუტის შესახებაც კი, მაგრამ ახლა შესაძლებლობა მომეცა უფრო ახლოს გავცნობოდი ყოველივეს. ისეთი განცდა მაქვს, როგორიც შეიძლება ჰქონდეს კაცს, რომელსაც ახალგაზრდობაში გაუგია რაღაც ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის შესახებ და მოგვიანებით ეს ყველაფერი რეალობად ექცევა.

ჩვენთან იცნობენ ქართულ ბალეტს — ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლს, რომელიც მაღალ შეფასებას იმსახურებდა ყოველთვის.

ბავშვი ვიყავი, როცა ჩვენს სოფელში ჩამოვიდნენ ამერიკელები ისეთივე მისიით, როგორითაც დღეს ჩვენ ვართ ლანჩხუთის რაიონში ჩამოსულები. დღეს ის სოფელი მილიონიანი ქალაქია, მოწინავე კულტურის ცენტრებით და ყველა იმ ატრიბუტებით, რითაც ხასიათდება დასავლეთის ქალაქები. ვფიქრობ, საქართველო მალე გახდება მსოფლიოში ნავთობის ცნობილი ექსპორტიორი.

— როგორია კონტრაქტის პირობები?

— რასაც მოვიპოვებთ, 70 პროცენტი საქართველოს დარჩება. ჩვენი მოვალეობაა საქართველოს მხარე მოვამარაგოთ კაპიტალით, მოწყობილობებითა და აღჭურვილობით, რომელიც აუცილებელია ნავთობის მოპოვებისათვის, ასეთ ბაზისზე მიმდინარეობს ხელშეკრულების შესრულება.

— როგორია თქვენი აზრი ქართველ სპეციალისტებზე?

— ყოფილი საბჭოთა კავშირის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტექნიკური აღჭურვილობის დონე ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, იმდენად, რომ შედარებაც კი ძნელია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში მომუშავე სპეციალისტების განათლების დონე შეეფერება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტანდარტებს. მაგალითად, ქართველი ამწეს ოპერატორი არაფრით ჩამოუვარდება „ნეიბორის“ ფირმის (ეს ფირმა აწარმოებს მონტაჟს და შემდეგ ამუშავებს ბურღვასაც) ამწეს ოპერატორს, რომელიც ბევრად უფრო გაუმჯობესებული ტექნიკით მუშაობს.

მისასალმებელია, რომ ქართველები ითვალისწინებენ ჩვენს მიერ შეთავაზებულ წინადადებებს, ისინი დარწმუნებული არიან ჩვენი მეთოდების უპირატესობაში. ამიტომაც სასურველია და, ვფიქრობ, აუცილებელიც, გადმოიღონ ის გამოცდილება, რაც დასავლეთელებს დაუგროვდათ.

— გაქვთ თუ არა სპეციალისტების მომზადების პროგრამა, ხომ არ ფიქრობთ ახალგაზრდების გაგზავნას სასწავლებლად დასავლეთში?

— არა. ასეთი პროგრამა არა გვაქვს. ისე კი, ამჟამად ჩვენს კომპანიაში 70 ქართველი მუშაობს, 5 კაცი გვყავს მოწვეული, 20 — კონტრაქტორია ფირმა „ნეიბორიდან“. ნავთობის მოპოვების პროცესში 150 კაცი იმუშავებს. ყველა მოწვეული სპეციალისტი ეცდება დაეხმაროს ქართულ მხარეს, რათა მათ გაუადვილდეთ მუშაობა. შევეცდებით, კადრები ადგილზევე გამოვზარდოთ ისე, რომ ჩვენი წასვლის შემდეგ მათ წარმატებით განაგრძონ დაწყებული საქმე.

— რამდენი ჭაბურღილის აგებას აპირებთ და, თუ საიდუმლო არ არის, სად?

— საიდუმლო ნამდვილად არ არის! ერთი ჭაბურღილი უკვე იდგმება შრომისუბანში და იგი ამ დღეებში დამთავრდებოდა, ამწე რომ არ გამოსულიყო მწყობრიდან; მეორე და მესამე ღრმაღელის ტერიტორიაზე დაიდგმება. წლეულს ჩვენი ბიუჯეტი 17 მილიონი დოლარია. ეს ჭაბურღილები იდგმება იქ, სადაც ადრე იყო ჭაბურღილები. მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. ამჯერად ჩვენ ვაწარმოებთ მეორად გაბურღვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ვბურღავთ როგორც ვერტიკალურად, ასევე, ჰორიზონტალურადაც, სწორედ ამაშია ჩვენი მეთოდის, ტექნიკისა და გამოცდილების უპირატესობა.

ჰორიზონტალური ბურღვა საქართველოში პირველად განხორციელდება, მისი ეფექტი ის არის, რომ გაიზრდება ნავთობის მოპოვების დებეტი.

— წინასწარი მონაცემებით, უახლოეს წლებში რა რაოდენობის ნავთობს მოიპოვებთ?

— მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. რომ მოვიპოვებთ, ფაქტია.

— როგორია ჩვენი სპეციალისტების, რიგითების ანაზღაურება და როგორი — მოწვეულებისა?

— სხვაობა სოლიდურია. როცა ამერიკის კომპანიაში მუშაობა დავიწყე, დაბალი ანაზღაურება მქონდა, მაგრამ როცა ჩემმა გამოცდილებამ, შრომის ნაყოფიერებამ იმატა, აიწია ანაზღაურებამაც. ასე რომ, ანაზღაურება შეესაბამება სტანდარტებს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ანაზღაურება ინტერნაციონალური სტანდარტების მიხედვით ხდება.

— რა გავლენას ახდენს თქვენზე ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია?

— უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ აქ ჩამოვიყვანე მეუღლე, რომელიც დარჩება და თავისი სპეციალობით იმუშავებს. თოფს მხოლოდ იხვებზე ნადირობისას ვიყენებთ...

— როგორ ახდენთ ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან. რატომ არის, რომ თითქმის მთელი თანხების აკუმულაცია თბილისში ხდება, რაიონის ბიუჯეტი კი...

— მე ვიცი, რომ მოგების 70 პროცენტი საქართველოს რჩება. გადასახადებს, რაც კანონით არის დადგენილი, კეთილსინდისიერად ვიხდით, რაც შეეხება სოფლის, რაიონის თუ რესპუბლიკის ბიუჯეტს, ეს საკითხი გადაწყვიტოს ხელმძღვანელობამ, ვისაც ეს ევალება.

— შემმოწმებლები გაწუხებენ, თუ გეხმარებიან?

— ბიუროკრატიული მანქანა ჩვენს ქვეყანაშიც არის, მაგრამ ჩვენი სტანდარტები იმას გვავალებს, რომ საკუთარი თავი ჩვენვე შევამოწმოთ. გვაქვს ეკოლოგიური და უსაფრთხოების სტანდარტები. პირველი, რაც ჩვენს მოვალეობაში შედის, არავინ არ უნდა დაზიანდეს მუშაობის პროცესში, ხალხი ხომ ჩვენი სიმდიდრეა. ბუნებასაც გაფრთხილება უნდა. მაგალითად, ჰემატიტის გამოყენებას 40 წელია დაესვა წერტილი ჩვენთან, როგორც ეკოლოგიური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.

რაკი დახმარება ახსენეთ, უნდა გითხრათ, რომ ძალიან გვეხმარება ფოთის ნავსადგურის კომპანია, ფოთისა და ლანჩხუთის გამგებლები რ. მელია და თ. გუგუნავა. ჩვენი მუშაობით დაინტერესდნენ კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, პარლამენტის წევრი ო. ხუციშვილი და სხვები.

— თქვენ ბრძანეთ, ხალხს ძალიან უჭირსო, თუ ფიქრობთ მათ დაეხმაროთ?

— ნახეთ, ალბათ, რომ მდინარე სუფსაზე ავაგეთ ხიდი, რომლითაც სოფელი შრომისუბანი უმოკლესი გზით დაუკავშირდა ღრმაღელეს, შევაკეთეთ გზები. მომავალში იქნებ შავი საფარიც დავაგოთ. ჩემი მეუღლე სანდრა ფიქრობს საბავშვო ბაღის გახსნას, რომელიმე სკოლაზეც ავიღებთ შეფობას. ნავთობის წარმატებული მოპოვების შემდეგ ბევრი სხვა რამეც გაკეთდება.

— სად იქნება თქვენი ოფისი, რატომ არის, რომ თქვენ აქ ხართ, ბუღალტერია კი თბილისშია?

— მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ცენტრალიზებული მართვის, ერთ ხელში ყველაფრის მოქცევისა, რაც შეეხება ოფისის მშენებლობას, ეს საკითხი ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

— როგორ ფიქრობთ, გაკეთდება თუ არა ტერმინალი?

— ტერმინალის შექმნის 3 ალტერნატივა არსებობს, ჩვენ ვაწარმოებთ ნავთობს. დაგვჭირდება მისი ტრანსპორტირება. პირველი ვარიანტი: — შეიძლება იგი რკინიგზით გადაიტვირთოს ბათუმში; მეორე — გემით წავიდეს ფოთიდან და მესამე — შეიქმნას ისეთივე ტერმინალი, როგორსაც ამერიკელები აპირებდნენ, სამოქალაქო ომი რომ არ დაწყებულიყო. ტერმინალის შექმნა ძალიან კარგი იქნება აზერბაიჯანის ნავთობის ტრანზიტისთვისაც.

— ერთმმართველი ხართ თუ გყავთ მოადგილეები, ან როგორ უწოდებთ მათ?

— მყავს წარმოების მენეჯერი ალექსანდრე ჭეჭინაძე, მშენებლობის მენეჯერი თემურ გოგოლაშვილი, რომლის დამსახურებაა ოთხი ბაზის, საცხოვრებელი სახლების, სასადილოს მიმდინარე რემონტი, ხიდებისა თუ გზების მშენებლობა და სხვა. ასევე გვყავს მოპოვების მენეჯერი, კონსულტანტი და სხვები. მათ ვაძლევთ დავალებებს, რასაც კეთილსინდისიერად ასრულებენ.

— გაქვთ თუ არა რაიმე საერთო პოლიტიკასთან?

— ჩემი საქმე ნავთობის მოპოვებაა.

— ხომ არ გიფიქრიათ, გესწავლათ ქართული ენა?

— დიახ, მაქვს ლექსიკონი. ჩემზე უფრო მეუღლეა მონდომებული, ვნახოთ, რა გამოგვივა.

— ბატონო ჯეიკ, რას ეტყოდით „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს?

— უძველესი კულტურის მქონე ქართველ ხალხს მინდა ვუსურვო მოთმინება, ერთიანობა, მიტევება. მწამს, რომ საქართველო მალე გახდება ერთიანი და მძლავრი ქვეყანა, რაშიც თავის წვლილს შეიტანს ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანიაც. დიდი იმედი მაქვს აქ განლაგებული ჭაბურღილებისა. ვეცდებით, პროდუქცია გავზარდოთ მაქსიმუმამდე. ეს ხომ დიდი სიმდიდრეა, ეს მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ხალხისთვის, საქართველოსთვის.

ესაუბრა
ბადრი კუტალაშვილი.

თვალსაზრისი

ერი, პიროვნება, ენა

ენა რომ გაგებინების საშუალებაა, ეს ყველამ იცის. მაგრამ ენა დამეგობრებისა და გადამტერების საშუალებაც რომ ხდება ხოლმე, ამას იშვიათად ამჩნევენ. ამ თვალსაზრისით ენა შეიძლება შევადაროთ ატომურ ენერგიას: იმის მიხედვით, თუ ვის ხელში მოხვდება ეს ენერგია, ადამიანებს შეიძლება დიდი სიკეთეც მოუტანოს და უბედურებაც. საქმე ის არის, თუ ვინ რა მიზნით გამოიყენებს მას. ასევეა ენაც. ის შეიძლება მეგობრობის დასამყარებლად გამოვიყენოთ, მტერიც კი მოყვარედ გვექციოს („გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“), მაგრამ მოყვარეც კი მტრად შეიძლება გადაგვექციოს. საქმე ის არის, თუ რა ენით ელაპარაკები მას.

კაცობრიობის ისტორიამ გვიჩვენა ენის გამოყენების სხვაგვარი მაგალითებიც. ხშირად დამპყრობელი ქვეყანა თავისი პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიის გვერდით ახორციელებდა ენობრივ ექსპანსიასაც, იწყებდა დაპყრობილი ხალხის ენის შევიწროებას, მის თანდათან განდევნას და საკუთარი ენის დანერგვა-გავრცელებას. ამ საქციელს დამპყრობელი ახორციელებდა ათასნაირი ხრიკებით, ამართლებდა ათასნაირი მოტივებით. ასე ხდებოდა ესპანური ენის გავრცელება სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ინგლისურისა — ჩინეთსა და ინდოეთში, რუსულისა — მთელი იმპერიის სივრცეში და ა. შ. დამპყრობელმა კარგად იცოდა — თუ დაპყრობილ ხალხს თავის ენას წაართმევდი და დაავიწყებდი, მასზე ბატონობაც განაღდებული გქონდა. როგორც ჩანს, სხვაგანაც კარგად ესმოდათ გრიგოლ ორბელიანის მიერ ნათქვამის აზრი „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“.

მაგრამ დამპყრობელი ამას რომ იქმოდა, ეს გასაგებია, რადგან მის ინტერესებს სწორედ ასეთი მოქმედება ემსახურებოდა. იმას კი რა ახსნა მოვუძებნოთ, როცა შესანიშნავი ენის მფლობელი ხალხი თვითონ არ უფრთხილდება და არ ზრუნავს თავისი ენის დაცვისა და განვითარებისათვის? ჩვენს მშობლიურ ქართულს ვგულისხმობ.

ენა სხვა არაფერია, თუ არა მისი მომხმარებლისა და პატრონის ზეპირი და წერითი მეტყველება. ამ ორი გზით ცოცხლობს ნებისმიერი ენა. სანამ ამ ენაზე ადამიანები ლაპარაკობენ ან წერენ, ენაც მანამდეა ცოცხალი. სწორედ ზეპირი და წერითი მეტყველება განსაზღვრავს ენის ბედს, ხოლო ენის ბედი — ერის ბედს. ერისა და მისი ენის სასიცოცხლო ენერგია ერთმანეთზე ისეა გადაბმული, რომ მათი კავშირის დარღვევა ორივეს სიკვდილით ემუქრება. ყველა ქართველს ეს აზრი კარგად რომ ჰქონდეს გაცნობიერებული, მაშინ ჩვენი ხალხის უდიერი დამოკიდებულება საკუთარი ენისადმი ასეთ მახინჯ სახეს არ მიიღებდა.

აბა, გაიარეთ თბილისის ქუჩებში, შეჩერდით მეტროს სადგურების წინ, მოისმინეთ მოსაუბრეთა ქართული და მიხვდებით რა დღეშია ჩვენი ენა. განა მარტო აქ? დაელაპარაკეთ თქვენს მეზობელს, ნათესავებს, სამსახურში ყური დაუგდეთ თანამშრომელთა მეტყველებას და დარწმუნდებით, რომ საქმე ძალზე ცუდად ყოფილა. მეტის თქმაც შეიძლება: ისმინეთ რადიოსა თუ ტელევიზიის ზოგი დიქტორის მეტყველებას და ბრაზი გაღრჩობთ, ნუთუ მან არ იცის, რომ მისი თანამდებობა (დიქტორი) სიტყვა დიქციიდან მოდის და ეს უნდა ახსოვდეს? დალოცვილო, ერთხელ მაინც წინასწარ გადაიკითხე ეგ ტექსტი და იქნებ აღარ წაიბორძიკო! ახლა პრესას აღარ იკითხავთ?! — დამოუკიდებელ გაზეთებს რომ ეძახიან...

არა მარტო „რიგითი“ ადამიანების მეტყველებაა დანაგვიანებული, არამედ იმათიც, ვისაც თავი ინტელიგენტად წარმოუდგენია. ამიტომ არის, რომ ეს ადამიანებიც ისევე გაიძახიან „პაკრიშკას“, „ტორმუზს“, „ქიდკოსტს“, „სიდენიას“, „ზადნის“, „კუზოვს“ და ა. შ., როგორც პროფესიით მძღოლები, ვინც მთელ თავის ცხოვრებას მანქანასთან ატარებს.

ერთი ქალბატონი შეწუხებული ტონით მეორეს შესჩიოდა, „ფენი ვიშოვე, მაგრამ ტრუბები არა მაქვს“. ის იმდენად მიჩვეულია ასეთ ენობრივ დამახინჯებას, რომ ვერცა გრძნობდა, რას აშავებდა. საუბედუროდ, მისი მსმენელისთვისაც ეს სრულიად ჩვეულებრივი რამ იყო და არც შეწუხებულა. ეს ხომ ჩვენი ყოველდღიურობაა.

ხელოსანს მოიყვან და ისმენ მის „ჩვეულებრივ ქართულს“ — „კრანი“, „ტრუბა“, „სვარშიკი“, „დასვარკება“, „ვინტი“, „ბოლტი“, „გაიკა“, „პროვოდი“, „პეტლი“, „შურუპი“ და ა. შ. ასეთი „მარგალიტები“ ყოველ ნაბიჯზე, ყველგან, ყოველთვის გვხვდება.

ერთი გაუგებარი რამ შეიმჩნევა: ამისთანა „მოქართულეს“ შენიშვნა რომ მისცე, მაშინვე გიპასუხებს, — მე ხომ ფილოლოგი არა ვარო (თითქოს ენა მხოლოდ ფილოლოგების საზრუნავი იყოს). უფრო უარესიც: ხომ გაიგე, რაც გითხარი, მეტი რა გინდაო. თანაც ამას მობოდიშებით კი არ ამბობს, არა, მას ასე სჯერა და ეს არის უარესი! ასეთი „შეგნება“ ძალიან წააგავს შეჩვეულ ჭირს, რაც ისევე დამღუპველია, როგორც შეუჩვეველი.

ყველამ მთელი სისრულით ისიც უნდა გაისიგრძეგანოს, რომ მეტყველების კულტურა პიროვნების საერთო კულტურის განუყოფელი ნაწილია. კაცს სულაც რომ არ იცნობდე, მეტყველების მიხედვით შეგიძლია განსაზღვრო მისი კულტურის დონე.

საოცარი ისიც არის, რომ ჩიქორთულად მეტყველს ძალიან სწყინს, როცა მისი მეტყველების მიხედვით აფასებ მის ზოგად კულტურას, ამას ის შეურაცხყოფად თვლის, ლამის თავი გაგიტეხოს, ეს როგორ მაკადრეო. ამავე დროს თვითონ სულაც არ ზრუნავს იმისათვის, რომ კულტურული ადამიანის სახელს იმსახურებდეს.

ზემოთ რომ ენის დამახინჯების მაგალითები მოვიტანე, ყველა მათგანი ბარბარიზმებია (კერძოდ, რუსიციზმებია), მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს ქართულს მხოლოდ ბარბარიზმებით ვამახინჯებდეთ. არა, სხვა გზითაც ხდება ჩვენი ენის დამახინჯება. მაგრამ ცოტა კიდევ ბარბარიზმებზე. რუსულის გარდა სხვათა სიტყვებიც ადვილად იკიდებს ფეხს ჩვენს მეტყველებაში. აბა დაუკვირდით, როგორ მომრავლდა „ესკალაცია“, „კომპრომისი“, „კონსესუსი“ და მისთანანი. ყოველ მათგანს ქართულში მშვენიერი შესატყვისი აქვს და მაინც უცხოური სიტყვით ვჭყლეპლაობთ, თავს ვიწონებთ. განა ურიგოდ ჟღერს: „გაფართოება“, „დათმობა“, „შეთანხმება“? რა „კონსესუსი“ აგვიტყდა? რატომ ვიქცევით ასე? რატომ ვავიწროებთ ქართული ენის გამოყენების არეალს, ეს ხომ თვით ენის კვდომის დასაწყისს ნიშნავს? და რაკი ენის კვდომის დასაწყისია, ეს ხომ ერის კვდომის დასაწყისსაც ნიშნავს!

ახლა სხვა სახის დამახინჯებებზე. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია კუთხური მეტყველების მოძალება. მანქანით მოსიარულისთვის ეგებ შეუმჩნეველია, მაგრამ ჩემსავით ფეხით მოსიარულეს ყოველ ნაბიჯზე ყურს ჭრის: „ჩამევიდა“, „მეიტანა“, „წეილო“, „გოუშვი“, „ცავ“, „ციცავ“, „რეიზა“, „მაიტანა“, და ა. შ. კუთხური მეტყველების მოძალებას შესაძლოა ერთგვარი ახსნა მოეძებნოს იმით, რომ თბილისში ძალზე ბევრი ლტოლვილი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გაჩნდა, მაგრამ ახსნა ერთია და გამართლება კი — სხვა. კუთხურ მეტყველებას არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. განა ჩამოსულისთვის უკეთესი არ იქნება, რომ თავანკარა თბილისური ენით (ე. ი. სალიტერატურო ენით) ილაპარაკოს და თავისი კუთხურისაგან განთავისუფლდეს? ვშიშობ, თბილისელებს ისე არ დაემართოს, როგორც ერთი ანეკდოტის მიხედვით დაემართა კახელს, რომელსაც მეგრელმა მამამ შვილი ქართულის შესასწავლად ჩაუყვანა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ რომ მიაკითხა, ის კახელი მეგობარიც მეგრულად ლაპარაკობდა. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ კუთხურმა არ წალეკოს ჩვენი სალიტერატურო ენა — „სიყვარულის, ლექსისა და ღმერთის ენა“.

ყურს ჭრის, აგრეთვე, მეტყველების რაღაც უჩვეულო ინტონაცია, მახვილის უადგილო ადგილას მიღებული გამოყენება. რანაირ ლაპარაკს არ გაიგონებთ დღეს თბილისში, როგორ გაგრძელებულად, რაღაცნაირი მახვილით წარმოთქვამენ სიტყვებს. გაიგონება შეიძლება, „გოგო, გეყურება შეხეეე?“, „მაგი იმფერია, რომე კაცს გადააარევს!“ მსგავსი მაგალითი უამრავია. მთავარი ის არის, რომ ასეთი მეტყველება ქართულისათვის არაბუნებრივია, და ის უნდა მოვიცილოთ.

ქართული ენა გადაურჩა არაბობას, თურქობას, სპარსობას, რუსობას, ყველას და ყველაფერს და ახლა მას გარეშესაგან საფრთხე თითქოს აღარ მოელის. ჩვენ თვითონ ნუ მოვექცევით მას უდიერად, ნუ დავანაგვიანებთ, ნუ შევრყვნით, ნუ წავახდენთ.

ერი, პიროვნება, ენა (მეტყველება) ერთი მთლიანია, განუყოფელია. ურთმანეთოდ ისინი ვერ იარსებებენ. ეს ჭეშმარიტება ყველამ კარგად უნდა გაიგოს და შეითვისოს.

გასაკვირი ის არის, რომ საქართველო დამოუკიდებლობის გზას თითქოს დაადგა და, ამის მიუხედავად, სწორედ ახლა არავინ ზრუნავს ენის სიწმინდის, მისი დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის. ენისადმი უყურადღებობას ჩვენს გაჭირვებას ნუ გადავაბრალებთ, ნუ დავივიწყებთ დიდ შეგონებას: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. ერის დაცემა კი აბა ვის უნდა?

ტარიელ კვანჭილაშვილი,
პროფესორი.

ქართველი მწერლის აფხაზური ჩანაწერები

კოდორის ხეობის მსოფლიო საიდუმლო

9. ფანავის ქედის საიდუმლო

პრომეთეს მწვერვალი — სწორობილი აღმართულია საქართველოში, ფანავის ქედზე, კოდორის ხეობაში, კავკასიის მთიანეთში, იქ, საიდანაც ამასწინათ გაეროს ძალებმა გაიყვანეს ქართული საჯარო ფორმირებანი და უპატრონოდ დატოვეს მიჯაჭვული პრომეთე.

ტოპონიმი „ფანავი“ ქართველურია და არა აფსუური, როგორც სეპარატისტები ამტკიცებენ.

შევადაროთ სიტყვა „ფანავი“ ქართულ სიტყვებს „მახავი“, „ზანავი“, „თელავი“, „რუსთავი“ და ა. შ. და თქვენ ღრმად, სემანტიკურად და ეტიმოლოგიურად [illegible] დარწმუნდებით, რომ ეს ქართველური ტოპონიმია.

ყველა დასახელებულ ქართულ სიტყვას ერთვის საერთო ქართველური ბოლოსართი „ვი“. ახლა გავარკვიოთ რას ნიშნავს ფუძე „ფანა“?

ეს არის ქართველური (ლაზურ-ჭანურ-მეგრული) და არა აფსუური ფუძე. აფსუურად „ფანა“ არაფერს არ ნიშნავს, ის არ აიხსნება აფსუური ენის მეშვეობით, ის მხოლოდ კოლხური მეტყველებით ახსნადი ფენომენია.

„ფანა“ ქართველური (ლაზურ-ჭანურ-მეგრული) სიტყვაა და დაკავშირებულია რელიგიურ-საკულტო ლექსიკონთან კერძოდ „ფანა“ ნიშნავს ვისმეს ღვთის სამსჯავროსთვის გადაცემას. „ქენგო-ფანა“ იტყვის კოლხი, როცა ღვთის სამართლით დაგიპირებს დასჯას. ეს საშინელ ავისმომასწავებელ სიტყვად ითვლებოდა მორწმუნე, განსაკუთრებით წარმართ კოლხებში. ის ეგზისტენციალურ შიშსა და ძრწოლას იწვევდა.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ „ფანა“ სწორედ ღმერთის მტერ პრომეთეს დასჯასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს იყო მთა, სადაც წარმართთა ღმერთს (ზევსს, ობის და სხვა) გამოჰქონდა საშინელი სასჯელი. „ფანა“ ნიშნავს „ღმერთთან ავად დაგასმენო“, „ის კიდევ საშინლად დაგსჯისო“. ეს იყო საშინელი წარმართული წყევლისა და მუქარის დამტევი სიტყვა.

სწორედ ასეთი მთა („ფანა“) და ასეთი მწვერვალი („სწორობილი“) უნდა შეერჩიათ კოლხეთში დასჯილ პრომეთეს კლდეზე მისაჯაჭვად.

ამიტომ არიანეს ეს ცნობა — პრომეთეს სწორედ კოლხეთში, სწორობილის მწვერვალზე მიჯაჭვის შესახებ, ეჭვს არ იწვევს.

რაც აქ ვთქვი „სწორობილისა“ და „ფანას“ შესახებ, არც არიანეს უცვლია და, ეტყობა, არც ბატონ პავლე ინგოროყვას.

ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ისინი არაფერს წერენ. ეს პირველად იწერება ამ წერილში.

ქართველთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი სეპარატისტ აფსუათა წინააღმდეგ მეცნიერული პრომეთემცოდნეობაც არის.

10. აიეტი და პრომეთე ახლო ნათესავები?!

ერთხელ სორბონაში, ლათინურ კვარტალში სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ, პარიზის „ფილოსოფოსთა კაფეში“ შევადგინე აიეტისა და პრომეთეს ნათესაობის მითოსური სქემა და „გენეალოგიური ხე“ დავხატე.

პრომეთე ბერძნული მითებისა და პოეზიის თანახმად, ტიტანიდ იაფეტის ძეა. ნიკო მარის იაფეტური ენათმეცნიერება პრომეთეს მამის სახელთან არის დაკავშირებული. **იაფეტი კი კოლხეთის მეფის აიეტის მამის — ღმერთ ჰელიოსის ბიძაა.** (ეს ჩემამდე, რამდენადაც ვიცი, საქართველოში არავის დაუდგენია. ამ თემაზე მაქვს გამოქვეყნებული ცალკე გამოკვლევა „აიეტი და ანტიკური თეოგონია“).

მაშასადამე, **პრომეთე კოლხ, ქართველ აიეტის მამის ბიძაშვილი და აიეტის პაპის ძმისწულია. ასე, რომ პრომეთე კოლხეთის მეფის აიეტის სისხლით და ხორცით ნათესავია. ამას გვეუბნება მსოფლიო მითოლოგია.** არა ქართული, არამედ ბერძნული და ლათინური წყაროები.

ეს რომ დავადგინე, ისეთი ყავა შევუკვეთე „ფილოსოფოსთა კაფეში“, თვით დიდ ბალზაკს რომ შეშურდებოდა. და კონიაკ „ნაპოლეონით“ ჰესიოდეს სადღეგრძელო დავლიე, რადგანაც სწორედ ჰესიოდემ მიბიძგა ამ აღმოჩენისაკენ.

დიახ, კოლხეთის მეფის აიეტის მამის ბიძაშვილია პრომეთე.

მაშასადამე, პრომეთე არის აიეტის კოლხთა, ქართველთა და არა აფსუათა ნათესავი. აფსუა სეპარატისტებს სინდისის ნატამალი მაინც თუ აქვთ, ამ საკითხზე მეტჯერ ხმა აღარ უნდა ამოიღონ.

იმავე დროს ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ სწორედ არიანეს მიერ აღნიშნულ ქართულ (კოლხურ) მთის სწორობილის მწვერვალზე არის მიჯაჭვული **ტიტანი პრომეთე — კოლხთა მეფის აიეტის მამის მკვიდრი ბიძაშვილი.** გამოდის, რომ ზევსმა პრომეთე მისი ნათესავების ქვეყანაში — აიეტის კოლხეთში მიაჯაჭვა კლდეს. ეს მტკიცდება ჰესიოდეს „თეოგონიით“, თუ დაკვირვებით წავიკითხავთ მას, ანალიტიკური გონებით. **აიეტის პაპა ჰიპერიონი და პრომეთეს მამა — იაფეტი ძმები არიან.** პრომეთე მხოლოდ ერთი თაობით არის აიეტზე წინ. „ასაკით“ პრომეთე უფროსია, აიეტი — უმცროსი, მაგრამ ერთმანეთის „თანამედროვენი არიან“. ხედავთ რა ძველთა ძველია ჩვენი მითოსი და ისტორია, ძმებო ქართველებო! ამ ისტორიას და მითოსს დაცვა უნდა!

11. გამოხმაურება ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში

ყველაფერი, რაც აქ ითქვა, გარკვეულ ქართველოლოგიური სიახლეა მსოფლიო პრომეთემცოდნეობაში. (თუ გნებავთ აღმოჩენაა!) სწორედ ასე შეფასდა ის ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში და კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩემი შეხვედრის დროს. მე ძალიან პრეტენზიები არ მქონია, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო უცხოელთა მხრივ მსგავსი შეფასების მოსმენა.

12. პრომეთემცოდნეობის კოლხური, ქართველური თეორიის სიახლენი

რამდენიმე დასკვნა. პირველი. დიდი ქართველი ფილოსოფოსის შალვა ნუცუბიძის ჰიპოთეზა პრომეთეს მითთან შედარებით, ქართული ამირანიანის პირველადობის შესახებ, ისევ ჰიპოთეზად რჩება, მაგრამ ერთი ახალი რამ გაირკვა: **პრომეთე ქართველთა მითოსური ნათესავია, ის კოლხთა მეფის აიეტის მამის მკვიდრი ბიძაშვილია.** ეს ცოტა არ არის. ამას, ეტყობა, არ დაკვირვებია დიდი ქართველი ფილოსოფოსი შ. ნუცუბიძე. **ქართული, კოლხური, ფენომენი თავად პრომეთეშია.** არ არის აუცილებელი, თუმცა შეიძლება მისი დაპირისპირება მისსავე ორეულებთან: ამირანთან და აბრსკილთან (აბრსქილთან). ფაქტია, რომ პრომეთე სხვაა, ამირანი — სხვა, აბრსქილი — სხვა. მათი მსგავსებაც ფაქტია, მაგრამ მათი გაიგივებაც არასწორია. საქმე გვაქვს ერთი და იმავე თემის, იდეის სხვადასხვა მხატვრულ ვარიაციებთან. როგორც ჰაიდეგერი ამბობს: „ეს იგივეა და მაინც სხვა“.

მეორე: კვლევის შედეგად დადასტურდა, სწორია არიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ პრომეთე მიჯაჭვულია არა ზოგადად, სადღაც კავკასიის მთებში, რომელიღაც კლდეზე, არამედ კონკრეტულად საქართველოში, ფანავის ქედზე, მწვერვალ სწორობილზე.

მესამე. აიეტისა და პრომეთეს ნათესაობის აღმოჩენა საშუალებას იძლევა მომავალში, ახალ კვლევათა საფუძველზე, რეალურ მეცნიერულ კონცეფციად იქცეს აკად. შალვა ნუცუბიძის ჰიპოთეზა ამირანის ეპოსის პირველადობის შესახებ, მაგრამ გარკვეული კორექტივებით: უნდა გამოვლინდეს ის ქართველური მითოსური არქეტიპი, რომელიც დასაბამს აძლევს როგორც პრომეთეს, ისე ამირანის მითს. საჭიროა ასეთი მითის აღდგენა-რეკონსტრუქცია. სხვა შემთხვევაში ჰიპოთეზა ჰიპოთეზად დარჩება. **მაგრამ ქართველებს საამაყოდ მაინც გვაქვს დღეიდან პრომეთესა და აიეტის, პრომეთესა და ქართველთა (კოლხთა) ახლო ნათესაობა.**

მეოთხე. პრომეთე არა მხოლოდ აიეტის, არამედ ლათინთა ღვთისმშობლის, ღმერთ იუპიტერის დედის — კოლხი პრინცესის, ქალღმერთ კირკეს ნათესავიც არის.

ესეც ამ სტრიქონების ავტორმა დაადგინა.

საოცარი რამ არის მითი! უფრო საოცარია ქართველთა პრეისტორია, პრეისტორიული კოლხეთი და სრულიად საქართველო — უძველესი მსოფლიოს მერვე საოცრება,

მეხუთე. ტიტანი პრომეთე არის პრეისტორიული ეპოქის კულტურული გმირი. მან მოსტაცა ზევსს ცეცხლი ადამიანებისათვის, სწორედ ამიტომ იხდის სასჯელს კოლხეთში. ეს, ერთი მხრივ, მაგრამ, მეორე [illegible] სწორედ კოლხები (ხალიბები) არიან „პირველი მეტალურგები მსოფლიოში“, პრომეთეს ცეცხლის პირველი გამომყენებლები. აქ თითქოს უშუალო კავშირია პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცებასა და პრომეთეს ნათესავი აიეტის კოლხების (ხალიბების) სახით კაცობრიობის მიერ ამ ცეცხლის გამოყენებას შორის. ქართველი (კოლხი ხალიბები) ჰეფესტოს ხელობის ხალხია. (ამის შესახებ მიმოწერა მქონდა ჟან ბერნალთან, რომელმაც მსოფლიო მეცნიერების ისტორია დაწერა და ახსენა ხალიბები).

მეექვსე. ტიტანი პრომეთე არის დამწერლობის, ანბანის შემქმნელი ღმერთი. ამ თვალსაზრისითაც, თითქოს უშუალო კავშირია პრომეთესა და მის ნათესავ აიეტის კოლხეთს შორის. ბერძენი და რომაელი ავტორები იუწყებიან, რომ ოქროს საწმისზე კოლხებს დაწერილი ჰქონდათ ოქროს მოპოვების წესი. მაშასადამე, პრომეთეს სიკეთეს — დამწერლობას, ანბანს იყენებენ პრეისტორიული კოლხები, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ დაწერდნენ ოქროს საწმისზე ოქროს მოპოვების წესს?! ამას გარდა, ძველ ბერძნულ წყაროებში ვაწყდებით ცნობას „კოლხური კირბების“ შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ „პირველ გეოგრაფიულ რუკებს“, მათზე გზები და გეოგრაფიული პუნქტები იყო აღნიშნული.

არსებობს უძველესი ყრუ, ირიბი ცნობები, პრეისტორიული, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი კოლხური დამწერლობის შესახებ. საკმარისია გადავფურცლოთ აკად. ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკა“ და ამაში დავრწმუნდებით.

მეშვიდე. პრომეთეს ახლო ნათესავის აიეტის ასული მედეა (თვითონაც მამის მხრივ პრომეთეს ახლო ნათესავი), რომელიც მსოფლიო მედიცინის ერთ-ერთ მითოსურ ფუძემდებლად („კურამედიანა“) ითვლება, წამლად იყენებს „პრომეთეს ყვავილს“.

ნათქვამი სავსებით საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ პრომეთესა და კოლხეთის თემა ამოუწურავია.

პრინციპულად ახალი, რაც ამ წერილში ვთქვით, არის შემდეგი: 1) პრომეთე აიეტის ახლო ნათესავია. ეს პირველად ითქვა. 2) მედეა ტიტან პრომეთეს ნათესავია. ესეც პირველად ითქვა. 3) კოლხი პრინცესა, ღმერთ ჰელიოსის ასული კირკე-იუპიტერის (რომაელთა ზევსის დედა) პრომეთეს ახლო ნათესავია. ესეც პირველად არის ნათქვამი. 4) პრომეთე მიჯაჭვულია არა ზოგადად კავკასიის რომელიღაც ქედზე, არამედ კონკრეტულად საქართველოში, კოლხეთში, სწორობილის მწვერვალზე, ფანავის მთებში, კოდორის ხეობაში. და იმ მთას ეწოდება არა არიანეს სტრობილი, არა ინგოროყვას სწრობილი, არამედ ჩვენი კონცეფციით სწორ-ობი-ლი, რაც „სამართლიან ღმერთ ობის (კოლხთა ზევსის) მთას“ ნიშნავს. სწორობილის რეკონსტრუქციაც მოხდა პირველად.

5) პრომეთემცოდნეობის ეს ახალი იდეები ერთგვარად, ვფიქრობთ, უფრო მყარ, უფრო რეალურ ნიადაგზე აყენებს დიდი ქართველი ფილოსოფოსის შალვა ნუცუბიძის მოსაზრებებს ამირანის ეპოსის პირველადობის შესახებ, რომელსაც სახელოვანი აკადემიკოსი მხოლოდ ინტუიციით, ჭეშმარიტად ფილოსოფოს ბერგსონის ინტუიციით გრძნობდა, მაგრამ, ფაქტობრივად ვერ ასაბუთებდა, მაინც ჰიპოთეზის დონეზე აყალიბებდა. აკად. შ. ნუცუბიძის თვალთახედვის არეში, ეტყობა, არ მოხვედრილა ამ წერილში მოცემული ახალი ფაქტები და დასკვნები, პრეისტორიული მასალა აიეტის, კირკეს, მედეასა და პრომეთეს ნათესაობის შესახებ, თორემ დიდი ფილოსოფოსი, ვფიქრობთ, სხვა დასკვნებს გამოიტანდა.

6) იქმნება მეტად საინტერესო სიტუაცია: ამ სტრიქონების ავტორის ახალი ქართული კონცეფცია პრომეთემცოდნეობის დარგში, ერთი მხრივ, აძლიერებს [illegible] ქართველოლოგიურობის შესახებ, უფრო [illegible] ორივე მხრივ ეს კონცეფცია [illegible] სრულიად ახალ „მითოსურ რეალობას“ —პრომეთე, —, რომც არ იყოს ამირანის მითთან დაკავშირებული, —მაშინაც, „არანუცუბიძისეული თეორიის“ თანახმადაც, აქ წარმოდგენილი ჩემი დასკვნების შემდეგ — ის მაინც მეტად ახლოს არის საქართველოსთან, კერძოდ, კოლხეთთან. (ის კოლხეთის მთებშია მიჯაჭვული, ის აიეტის, კირკესა და მედეას ნათესავია).

7) პრომეთემცოდნეობაში ახალი ქართული „კოლხური თეორიის“ შემუშავება გზას გადაუკეტავს ყველა აფსუა სეპარატისტს მიითვისოს პრომეთემცოდნეობა, მოიპაროს ქართული ისტორია, ქართული მითოსი, ქართული კულტურა, და არა მარტო მათ უკეტავს გზას, არამედ პირიქითა და პირაქეთა კავკასიისა და რუსეთის უთვალავ ხალხთა, ბევრ არაკეთილსინდისიერ კალმოსანსაც, რომლებიც ზევსის სვავზე უფრო მტკივნეულად ჯიჯგნიან პრომეთეს მითს მელნიანი კალმით და ნაწილ-ნაწილ „სტაცებენ“ მას საქართველოს.

დავიმახსოვროთ: პრომეთე არა ზოგადად კავკასიის მწვერვალმრავალ მთებში, არამედ კოლხეთის მთებშია მიჯაჭვული, **სწორობილის მწვერვალზე,** კოდორის სისხლიან და სევდიან ხეობაში...

ძველ თქმულებებში სხვა ტოპონიმებიც არის დასახელებული **ამირანის მთად და ხეობად,** მაგრამ კვლევამ დაგვანახა, რომ **პრომეთეს ხეობა კოდორის ხეობაა, პრომეთეს მთა — ფანავის მთაა, პრომეთე სწორობილის მწვერვალზეა მიჯაჭვული.** იქ გაათავისუფლა ის ჰერაკლემ.

ამირანის ხეობაც, ეტყობა, კოდორის ხეობაა, რადგანაც სწორედ აქ არის დალის ხეობაც, დალი და ამირანი კი განუყოფელია.

მე იმ ამირანზე მოგახსენებთ, რომლის შესახებ შოთა რუსთაველი წერს: ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია, ხონელსაო. ამ წერილში ძირითადად პრომეთესა და აიეტზე ვსაუბრობთ. ამირანზე ცალკე გვექნება საუბარი.

კოდორის ხეობაში ხშირად მაწუხებდა სევდიანი ფიქრები პრეისტორიულ წარსულზე.

დღეს ერთმანეთშია არეული გეოგრაფიული და ისტორიული სივრცე.

იმის გამო, რომ ისტორიული ტროა დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა, ტროას ისტორია — თურქეთის ისტორია არ არის.

იგივე ითქმის ბიზანტიის ისტორიის შესახებ: თურქებმა დაიპყრო ბიზანტია და ეს ქვეყანა დღესაც ყოფილი ბიზანტიის ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ ბიზანტიის ისტორია-თურქეთის ისტორია არ არის. ტერიტორია ერთია, ისტორია და ეთნოსი სხვადასხვა.

სწორედ ასეთივე სიტუაციაა გვაქვს აფხაზეთსა და პრომეთესთან დაკავშირებით.

პრომეთე მიჯაჭვულია პრეისტორიულ კოლხეთში და ის საბერძნეთისა და კოლხეთის ისტორიას და მითოსს ეკუთვნის და არა გვიანდელ, კოლხეთში გვიან დამკვიდრებულ აფსუათა ისტორიას და ეთნოსს.

* * *

რომანში „ფარნაოზის მთვარე“, რომელიც მოსკოვში „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა, ვწერდი: მთვარიან ღამით, წყნარ ამინდში მთელ, პრეისტორიულ კოლხეთში ისმოდა ოდესღაც პრომეთეს გმინვა, როცა მას ზევსის სვავი კორტნიდა...

პრომეთე დღეს ისევ გმინავს კოდორის ხეობაში, ფანავის მთებში, ადამიანურად კვნესის სწორობილის კლდეზე მიჯაჭვული ტიტანი.

ესქილესა და ბერძნული მითების პრომეთე, ჰეფესტოს ჯაჭვებით შეკრული ტიტანი, დევგმირმა ჰერაკლემ გაათავისუფლა.

ვინ გაათავისუფლებს — ხელმეორედ, ქიდისა არ იყოს, ქონდრისკაც არძინბას მიერ კოდორის ხეობაში ცუდად თუ კარგად მიჯაჭვულ ტიტან პრომეთეს, ქართველთა (კოლხთა) სისხლსა და ხორცს, სულსა და ინტელექტს?

ერთი ქართველი პოეტისა არ იყოს, ნუ ვაყოვნებთ, თორემ „ის, რაც ასე ადრე იყო გუშინ, ხვალ იქნება უსასრულოდ გვიან“...

კოლხეთის ჭირი ქართლის ჭირია.

დროა, გაიღვიძოს და ფეხზე დადგეს სრულიად საქართველო!

ლადო ალფენიძე,
მწერალი, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

დასასრული, დასაწყისი იხ. „ს.რ“ № 21.

სხვა გაზეთებიდან

მსოფლიო არ მოითმენს სეპარატიზმს!

აფხაზეთის კრიზისის პრობლემა გერმანული პრესის ფურცლებზე

გერმანიის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველო და აფხაზეთი, გაეროს შუამავლების მონაცემების მიხედვით, ჟენევაში პრინციპულად შეთანხმდნენ პოლიტიკური გაერთიანების აღდგენაზე, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელია. მოლაპარაკება მოსკოვში უნდა გაგრძელდეს. ამ ფაქტის გამო პრესაში გავრცელდა ჯაბა იოსელიანის, სოკრატ ჯინჯოლავასა და გაეროს წარმომადგენლების გენადი ფედოსოვისა და ედუარდ ბრუნერის გამონათქვამები.

ჯაბა იოსელიანი აღნიშნავს, რომ აფხაზეთი, ფაქტობრივად თანახმაა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შიგნით ფედერაციულ წყობაზე და ამით იგი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ ინტეგრაციას. გარდა ამისა, მან თქვა, რომ ჟენევაში ხელი არ მოუწერიათ არც ერთი დოკუმენტისათვის. ამის მიზეზი ისაა, რომ აფხაზეთი არაა თანახმა საქართველოს წინადადებაზე, შეიქმნას ერთობლივი არმია, რომელშიც აფხაზური დანაყოფებიც იქნება და არ ეთანხმება ერთობლივი ფულადი ერთეულის შექმნას მთელ საქართველოში.

სოკრატ ჯინჯოლია იწონებს ქართულ-აფხაზური კონფედერაციის შექმნას და ამ გზით კონფლიქტის გადაჭრას. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ კონფედერაცია შესაძლებელია მხოლოდ ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის. „ჩვენი მიზანია საქართველოსთან ავაგოთ ურთიერთობა, რომელიც დაეყრდნობა ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტის აღიარებას“.

მოლაპარაკებაში წინსვლის მიღწევის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ჩეჩნეთში მომხდარი ამბებია. გაერომ და რუსეთმა ამ მოლაპარაკებაზე კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ედუარდ ბრუნერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „ჩეჩნეთის კრიზისმა და მსოფლიოს რეაქციამ ამ კრიზისზე აჩვენა, რომ მსოფლიო არ აპირებს მოითმინოს სეპარატიზმი. მიუხედავად იმისა, რომ აკრიტიკებენ რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთში გამოყენებული მეთოდებისთვის, არავინ უარყოფს, რომ რუსეთმა თავად უნდა დაამყაროს წესრიგი თავის ქვეყანაში. აფხაზეთის მხარემ უნდა გაიგოს, რომ გაერო ვერ აღიარებს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“. ბრუნერმა ისიც აგრძნობინა აფხაზებს, რომ მათი სიჯიუტეს უარყოფითი გავლენა ექნება კონფლიქტის მოგვარებაზე.

გენადი ფედოსოვი უკმაყოფილოა ლტოლვილთა პრობლემის გადაუჭრელობის გამო. იგი ამაში ბრალს დებს აფხაზთა გაუმართლებელ სიჯიუტეს, რაც აბრკოლებს ლტოლვილთა დაბრუნების ვადების დადგენას. „თუკი აფხაზები გააგრძელებენ, პოლიტიკური გადაწყვეტილების მძევლებად აქციონ ლტოლვილები, გაერო იძულებული იქნება აღარ მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში“.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩო გერმანიაში.

ინფორმაცია

ახალი გაზეთი

კიდევ ერთი ახალი გაზეთი გამოვიდა — „მემორიალი" (მთავარი რედაქტორი — ზურაბ რცხილაძე). მისი გამომცემელია საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება.

გამოკვეთილია „მემორიალის" პოზიცია — თავის ფურცლებზე ისაუბროს ტოტალიტარიზმის სულისშემხუთველ ეპოქაზე, გამოამზეუროს 20-იანი და 30-იანი წლების სისხლიანი ქრონიკები, კიდევ ერთხელ შეახსენოს მკითხველს, მეტადრე ახალ თაობას, იმ ადამიანების ბედუკუღმართობის შესახებ, რომლებიც განუკითხაობის მსხვერპლნი გახდნენ.

ყოველივე ეს, პირველსავე ნომერში, მაღალპროფესიულ დონეზე არის გაშუქებული გაზეთში.

„მერანმა" ხელი შეაშველა

„ქვეყნის ენერგოკრიზისის დაძლევაში რესპუბლიკის მთავრობას ხელშეწყობა და მხარდაჭერა სჭირდება. ამ საქმეს კერძო სტრუქტურები განზე არ უნდა გაუდგნენ, ჩვენ მზად ვართ ჩვენი წილი საზრუნავი გავიღოთ „თბილსრესზე" ხანძრის შედეგების ლიკვიდაციისათვის, — ასეთი წერილით მიმართა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერანის" კოლექტივმა. ფირმის პრეზიდენტის — ზურაბ კვანტრიშვილის, ფირმამ დეპარტამენტ „საქენერგოს" ანგარიშზე უკვე ჩარიცხა ერთი მილიონი რუბლი.

„მერანის" კოლექტივი იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი ბიზნესმენები, მეწარმეები, ყველა პატრიოტი მხარს დაუჭერს ამ წამოწყებას.

პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ ეს ინიციატივა შეაფასა, როგორც მისასალმებელი, მხარდასაჭერი და ჭეშმარიტად პატრიოტული მამულიშვილური საქმე.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

ამოღებულია განრიგიდან

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, წევის ძალის შემცირების გამო, სამგზავრო მატარებლები თბილისი-ერევანი, თბილისი-სადახლო, თბილისი-ხაშური ამოღებულია მოძრაობის განრიგიდან.

შიმშილობა პროტესტის ნიშნად

როგორც ჩვენმა საზოგადოებამ იცის, რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების ფაქტის გამო. მიმდინარე წლის 6 მარტს სასამართლო კოლეგიამ (მოსამართლე — მ. დოლიძე) საბოლოოდ უნდა გამოუტანოს განაჩენი ცხრამეტ განსასჯელს.

1995 წლის 6 მარტს პროტესტის ნიშნად შიმშილობას აცხადებს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი. იგი მოითხოვს, სასამართლომ არ მიიღოს სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — სიკვდილით დასჯა ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანის მიმართ. ასოციაციის პრეზიდენტ კერვალიშვილის მოთხოვნაა, სასამართლოს კოლეგიამ დააბრუნოს აღნიშნული საქმე ხელახალი ობიექტური გამოძიებისათვის.

ასოციაციის პრესსამსახური.

გთავაზობთ!
საწერ, საბეჭდ, ქსეროქსის, პრინტერის, და სარედაქციო პერგამენტის
ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ანგარიშსწორება როგორც ნაღდზე, ასევე გადარიცხვით
☎ 98-87-40

არდავიწყება

ნისლებიანი ქიუხების მანდილოსანი

სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების 100 წლისთავი

შესრულდა ლეგენდარული ქართველი მთამსვლელი ქალის, უშბის დამპყრობის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების 100 წლისთავი. ალექსანდრა ჯაფარიძემ ძმებთან — სიმონთან და ალიოშასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ ალპინიზმს საქართველოში. მათი სახელები ოქროს ასოებით შევიდა ქართული სპორტის მატიანეში.

1923 წელს ალექსანდრა ჯაფარიძემ პირველად შედგა ფეხი მყინვარწვერზე პროფ. ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციის შემადგენლობაში. მას შემდეგ ალექსანდრა ჯაფარიძემ კავკასიონის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მწვერვალი დაიპყრო და მთამსვლელობისათვის დაწესებული თითქმის ყველა ტიტული და წოდება მიიღო, მაგრამ მისთვის ყველაზე მთავარი „ჯილდო" ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული გახლდათ, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძნობდა. მთამსვლელობა მისთვის მთელი ცხოვრება იყო, რომლის წინსვლას ერთგულად ემსახურებოდა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. მისი მონაწილეობით შესრულებული ასვლებიდან საეტაპოდ ითვლებოდა პირველი ასვლა თეთნულდზე 1930 წელს. ეს დიდი ტრავერსი იმ დროისათვის მსოფლიო კლასის მიღწევად იყო აღიარებული, ამ მარშრუტზე, პირველად ალპინიზმის ისტორიაში, ჯგუფმა ძირსდაუშვებლად, ქედ-ქედ გაიარა 80 კილომეტრი და 20 მწვერვალი დაიპყრო.

ალექსანდრა ჯაფარიძისათვის მთამსვლელობას სპორტულის გარდა მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. კავკასიონის მაღალმთიანეთის ექსპედიციებსა და ლაშქრობებში იგი აგროვებდა გეოლოგიურ და ბოტანიკურ მასალას, ასრულებდა მაგნიტომეტრიულ და აქტინომეტრიულ გაზომვებს, აკვირდებოდა ტემპერატურის ცვალებადობას მწვერვალსა და მის შემოგარენში, ეძებდა მწვერვალებზე მისასვლელ ახალ გზებსა და მარშრუტებს. 1927 წელს, მან ძმასთან — სიმონთან, იაგორ კაზალიკაშვილთან და ვახა წიქლაურთან ერთად ახალი გზით — გერგეთის მყინვარის გავლით (ამჟამად მას „სიმონ ჯაფარიძის გზა" ეწოდება) მყინვარწვერს მიაღწია, სადაც მეტეოროლოგიური ჯიხური აიტანა, რომელშიც მეტეოროლოგიური ხელსაწყოები მოათავსა ამინდზე დაკვირვების საწარმოებლად.

ტემპერატურის ცვალებადობის ერთკვირიანი ავტომატური ჩანაწერის დიაგრამა პარიზში გაიგზავნა, მსოფლიო მიღწევათა გამოფენაზე, რადგან მანამდე ასეთ სიმაღლეზე მსგავსი გაზომვები მსოფლიოში არსად შესრულებულა.

1929 წელს, თეთნულდზე ასვლისას, პიმენ დვალთან ერთად დაიღუპა სიმონ ჯაფარიძე, რომელმაც განსაცდელში ჩავარდნილ მეგობარს ხელი შეაშველა, მისი გადარჩენა ვერ შეძლო და თვითონაც მეგობრის ხვედრი გაიზიარა...

დიდი იყო ალექსანდრას მწუხარება, მაგრამ ასევე დაუოკებელი იყო მისი სწრაფვა თეთნულდისაკენ. სიმონის დაღუპვის წლისთავზე, ალექსანდრამ, ძმასთან — ალიოშასთან ერთად დაიმორჩილა თეთნულდი, სიმონის ხსოვნის აღსანიშნავად კი ნაგების მყინვარის სათავეში, კლდეზე ლითონის ფირფიტა მიამაგრეს სიმონის სურათითა და წარწერით: „კავკასიონის მწვერვალთა მესაიდუმლის სიმონ ჯაფარიძის ხსოვნას, მისი დამსხვრეული მისწრაფების აღსადგენად აქ მოსულ მისივე და-ძმისაგან. ივლისი, 1930 წ."

სიმონის ოცნების განხორციელება იყო და-ძმის მიერ უშბის დაპყრობაც 1934 წელს. ამ ასვლის დროს ალექსანდრას, მარტოდმარტოს მოუწია ღამისთევა უშბის კედელზე — თოკზე დაკიდებულს... ამ ლაშქრობამ ლეგენდად აქცია ალექსანდრაც და უშბაც. ალექსანდრას გმირობამ ქართველ პოეტებს არაერთი ლექსი დააწერინა, ხოლო ცნობილმა რუსმა პოეტმა, ნიკოლოზ ტიხონოვმა მას მთელი პოემა უძღვნა სათაურით — „ალექსანდრა ჯაფარიძე უშბაზე".

1945 წლის შემოდგომაზე უშბა-შხელდის ტრავერსის დროს, არნახული სიძლიერის ზვავმა უშბის ნაპრალებში ჩამარხა ალიოშა ჯაფარიძე, ქელეშში ონიანი და ნიკოლოზ მუხინი. კვლავ უსაზღვრო მწუხარებამ დაისადგურა ალექსანდრას სულში, მაგრამ მტკიცეა მისი ნება, მისი შეჩერება შეუძლებელია. ერთი წლის შემდეგ, იგი ალიოშას გზით ადის უშბაზე და საკუთარი ხელით ხსნის მწვერვალიდან ძმის მიერ დატოვებულ უკანასკნელ ბარათს. იპოვეს პალო და თოკის რგოლი, ხოლო გაგლეჯილი კარვის ნახვამ საბოლოოდ დაადგინა ღამისთევის ადგილი...

ალექსანდრა ჯაფარიძემ ასამდე ასვლა განახორციელა. აღსანიშნავია მისი ხელმძღვანელობით მოწყობილი ქალთა პირველი ზამთრის სათხილამურო ასვლა არაგაცზე 1941 წელს, ხოლო 1949 წელს ჩატარებული პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის მოსწავლეთა მასობრივი ლაშქრობა ყაზბეგის რაიონში, როცა სხვადასხვა კატეგორიის რვა მწვერვალი დაიპყრეს, დღემდე გაუმეორებელია. ალექსანდრა ჯაფარიძე 1950 წელს თავის აღზრდილ მთამსვლელებთან ერთად ახალი გზით იპყრობს კავკასიონის ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალს — დიხ-თაუს. სამი წლის შემდეგ კი — ორმოცდათვრამეტი წლის ასაკში, თავის უმცროს ძმასთან, ნოესთან ერთად, ხელმძღვანელობს მშობლიური ჭიათურის რაიონის მშრომელთა ორმოცდაათკაციან ალპინიადას მყინვარწვერზე. იმ დღეს ალექსანდრა ჯაფარიძე ამ მწვერვალზე მეცხრამეტედ ავიდა! ცალკე აღნიშვნის ღირსია ლეგენდარული ბეთლემის ქვაბის აღმოჩენა და კვლევა, რამაც ბევრი სიხარული განაცდევინა მრავალჭირნახულ ადამიანს.

ალექსანდრა ჯაფარიძის ღვაწლი სხვადასხვა დროს მრავალი ჯილდოთი აღინიშნა. 1941 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის, ხოლო 1945 წელს — სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, 1962 წელს — საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ალექსანდრა ჯაფარიძე რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორი იყო. ეწეოდა მთარგმნელობით-პუბლიცისტურ საქმიანობას. მან თარგმნა ცნობილი ფრანგი მთამსვლელის მორის ერცოგის გახმაურებული წიგნი „ანაპურნა", რომელშიც ამაღლვებლად არის აღწერილი ადამიანთა გმირობა ულმობელ ბუნებასთან ბრძოლაში, მათი იმედი და სიხარული. ეს თარგმანი ალექსანდრა ჯაფარიძის უკანასკნელი საჩუქარი იყო მთამსვლელობის თაყვანისმცემლების, მთელი ქართველი ხალხისადმი.

„ქართული მთამსვლელობის მანდილს" — ალექსანდრა ჯაფარიძეს — დღესაც მადლიერებით იგონებს შთამომავლობა, მის ნათელ სახელს დავიწყება არ უწერია,

ირინე მუხელიანი.

• • •

სურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე.

თბილისელი ხელოსნები

კაცი ვარ და ქუდი მხურავს...

— ახლა რას გეტყვი: დრო, მოდა, ეგ სულ ლაპარაკია. ქუდმა და კაცმა დრო, მოდა არ იცის. ქუდის მარტო ფორმა იცვლება, ქუდის ფასი რჩება. ხო ხედავ, რა ფასზე ვამბობ. ჯერ სიმღერა ნახე: „კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქედს არ ვუხრი არავის..." ქუდი კაცის ნამუსია. ძველად ძალიან გიჟუა ყარაჩოხელი, იცი, როგორ ბრუნდებოდა შინ ორთაჭალის ბაღებიდან? — ერთ ფაეტონში თვითონ იჯდა, მეორეში ქუდი ედო. მაშ! დღეს ნახევარ თბილისს დედაკაცის მოქსოვილი „ჩეფჩიკი" ჩამოუფხატავს, ისე დადის. საქმეა?

ქუდი გარდერობის ისეთი ნაწილია, მისი ავ-კარგი უმალ ხდება საჩინო. თბილისში კარგი მექუდე ყოველთვის პატივში იყო. თავმოყვარე თბილისელი ფინაჩის ნახელავის დახურვას არ იკადრებდა. ყველა ნაღდ ხელოსანს თავისი მუდმივი კლიენტები ჰყავდა. მისი ნაოსტატარი გაუყიდავი არასოდეს რჩებოდა.

მიხეილ მეჩითიშვილი თბილისელ მექუდეთა საუკუნოვანი დიდი ამქრის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანია.

— მეჩითიშვილები წარმოშობით გორელები ვართ. სხვათაშორის, სტალინის დედა და ბებიაჩემი, იმასაც კაკი ერქვა, დაქალები ყოფილან. წინაპარი, ალბათ, მეჩითე მყავდა. გასულ საუკუნეში მეჩითოვებად დავწერილვართ. ახლა ისევ დავიბრუნე ქართული გვარი. აი, ჩემი ბიჭიკი, ალბათ იცნობ, იურა მეჩითოვი, ფოტოკორესპონდენტი, არა შვება, მთელი ხალხი მეჩითოვად მიცნობს, რაღა დროსაო. თბილისში დავიბადე და გავიზარდე. მეცხრამეტე სკოლაში ვსწავლობდი, კიევის ქუჩაზე. მე და თენგიზ არჩვაძე ერთ მერხზე ვისხედით. ოჯახის გაჭირვებას რა ვუთხარი — სკოლა ვერ დავამთავრე. სვანეთის უბანში ვცხოვრობ. სამი ვაჟი და შვიდი შვილიშვილი მყავს. იურა იცი, გია ინჟინერია, ალექსანდრე — მხატვრობს.

თითქმის ნახევარი საუკუნეა ოსტატი მიხეილ მეჩითიშვილი თავისი ოქროს მარჯვენით ალალ და უსაყვედურო ლუკმას ჭამს. თბილისში კარგი ქონის სახელის დაგდება იოლი საქმე როდია. მუშაობდა ჭავჭავაძის პროსპექტზე და ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ატელიეებში (თბილისი მაშინ „ვაკელი მიშას" სახელით იცნობდა), ბოლო 29 წელიწადია გამსახურდიას პროსპექტზე, მაღაზია „გოლიათის" გვერდით, მე-11 ატელიეში (ფირმა „ელენი") შრომობს.

— ხელობა ჩემით ვისწავლე ომიანობის დროს. არა გჯერა? სურამში, დედულეთში ვიყავი დასასვენებლად. მე და ჩემმა ბიძაშვილმა ლეო ფასუაშვილმა სახლში ქუდის კალაპოტები და თარგები ვიპოვეთ — ლეოს უფროსი ძმის კოწოსი, ხელოსნის. თვითონ მაშინ ფრონტზე იყო. ისე, ხალისისთვის კერვა დავიწყეთ. რაღაცა გამოგვივიდა, გავყიდეთ კიდეც. მერე კიდევ ვცადეთ და ასე თანდათან. დედაჩემი რო ჩამოვიდა ჩემს სანახავად, მიახარეს; მიშამ ქუდის კერვა ისწავლაო. ტირილი დაიწყო, მე მთელი ცხოვრება მკერავობით ვცოდვილობ, ახლა შენ გინდა ცხოვრება გაიწვალოთ? არ მინანია. სახელი და პატივი ყოველთვის მქონდა. საიდან, ვინ არ დადიოდა ჩემთან. იცი, რა ხალხისთვის შემიკერია? ედუარდ შევარდნაძეს ეხურა ჩემი ქუდი ჯეელობაში, შოთა ჰანუყაძეს (უკვე დიდი კაცი იყო), გიორგი ლეონიძეს, იოსებ ნონეშვილს, ნოდარ დუმბაძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, გოგი ცაბაძეს, ცნობილ ქორეოგრაფს ნიკოლოზ გარუჩავას, პროფესორ ბურაკოვსკის, ჟენია პრიმაკოვს, ჯუმბერ პატიაშვილს, ზვიად გამსახურდიას, ახლან აბაშიძეს... ახლა რამდენ ჯიგარ ვერელ და ვაკელ ბიჭს, ნიაზ დიასამიძე გინდა, თენგიზ კაკულიძე გინდა!.. გიზო ნიშნიანიძემ პატივი მცა, თავის წიგნში „პაემანი ვერაზე" ჩემი სურათი შეიტანა. ახლახან რუსეთის ელჩი შემხვდა, მესტუმრა. ხუ სიცილით იქნა, ჰმვი, ხო, ხო, ხო, რა ხართ ეს ქართველები. რუსეთის საელჩოდან სხვებიც იყვნენ. ამერიკის საელჩოდანაც. მიხარია, რო სადღაც ამერიკაში კაცს თბილისური ქუდი ეხურება. იქაც გაიგონ, ისე არ არის საქმე, ჩვენც ვიცით რაღაცა სხვაზე არანაკლებად.

ერთ ამბავს მოგიყვები. ამ 10-12 წლის წინათ ცნობილ სერგო ფარაჯანოვს, მოსკოვში მიდიოდა, ერთი კარგი „ხინკალა" შევუკერე. იქ იმ დროს ფრანგული მოდების გამოფენა იყო. რო შესულა, სახელგანთქმულ მოდელიორს ლორანს ისე მოსწონებია ეს ჩემი ნახელავი, სერგოსთვის უთხოვია, მაჩუქეო. კულონი მოუხსნია, ეს ჩემგან სამაგიეროდო. სერგომ მიდეპეშა, „მიშა, ტვოია შაპკა ლეტიტ ვო ფრანციუ!" როგორია!

66 წლის კაცია მიხეილ მეჩითიშვილი. თითქმის მთელი ცხოვრება საკერავ მანქანასა და თარგებზეა დახრილი, მაგრამ თბილისის მაჯისცემას ძალზე ფხიზლად აყურადებს. ხელობა კვდებაო, წუხს. შეგირდები არასოდეს მკლებია, დღეს კი ახალგაზრდობას სწავლა აღარ უნდა, შრომა ეზარებათ. მშობლების კისერზე ჯდომა ურჩევნიათ, ან ქორვაჭრობა, ან ავტომატით ყაჩაღობა. კარგი, დღეს დროა ისეთი, იოლად გამოსდით ეგ საქმე, მაგრამ სულ ხომ ასე არ იქნება, მერე რაღას იზამენო.

— ადრე, მაგალითად, მთელ ქვემო პლეხანოვზე მექუდეების სახელოსნოები იყო ჩამწკრივებული. ახლა რამდენიღა დავრჩით? ეხეც არი, გადასახადები ისეთია, სულს ვერ მოითქვამ, მასალაც დღითი-დღე ძვირდება. ჩვენც რო წავალთ, ვიღა დარჩება? აი, ვზივართ ეს ორი კაცი, მე და ჩემი ცოლისძმა ვანო კუზანოვი და ვჩალიჩობთ. მე გავზარდე, ხელობა ვასწავლე. 14 წლისა იყო მაშინ. კარგი ოსტატი დადგა. მუყაითი, პატიოსანი, უდალატო კაცია, ვენაცვალე. 40 წელიწადია ოჯახს თავისი მარჯვენით არჩენს. ორივე ბიჭი დააცოლშვილა. ვინ რითი სჯობია: კაცობით გინდა, ფულის შოვნით გინდა, ხალხში პატივით გინდა! ოღონდ ეგ არის, ლაპარაკი არ უყვარს, ძალით თუ ამოაძრობ ორ სიტყვას (იცინის). ეგეთი მშრომელი ხალხი რო ბლომად იყოს, ეს ჩვენი ქვეყანა აქამდე დალაგდებოდა. ეეჰ!...

სახელოსნოში უკანასკნელი მოდის მიხედვით ჩაცმული ჭაბუკი შემოდის და საუბარს გვაწყვეტინებს.

— ჰა, როგორ არის საქმე?

— მზად არი, შვილო, მზად არი, მაშ როგორ! — ფუსფუსებს მიხეილი, ქუდს აწვდის და სანამ ის სარკეში თავს ითვალიერებს, თვითონაც გულდაგულ აკვირდება.

— კარგია, გმადლობთ!

— მზით გაცვითე, შვილო, მშვიდობაში გეტარებინოს!

გამოსვლისას კიდევ ერთხელ მივხედე ოსტატებს. დაბალი, მხრებში ოდნავ მოხრილი მიხეილი უკვე საკერავ მანქანას უზის და თავისთვის რაღაცას დუდუნებს. მაღალი, ნაადრევჭაღარამოძალებული ვანო, ისევ ისე, როგორც მთელი ჩემი იქ ყოფნის მანძილზე, თვალებით იღიმება და მდუმარედ აუთოვებს კალაპოტზე გადაჭიმულ ქუდს...

ხელი მოგმართოდეთ. ოსტატებო!

ალეკო ასლანიშვილი.

• • •

სურათზე: მიხეილ მეჩითიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

უარი ეთქვათ შეწყალებაზე

საზოგადოებრიობისათვის ცნობილია იმ შემზარავი მკვლელობის ამბავი, რომელიც ჩაიდინეს ბესიკ ომარის ძე ხელაიამ (დაბადებული 1972 წელს, მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში, უცოლშვილო, 8 კლასის განათლებით) და მინდია ოთარის ძე წოწორიამ (დაბადებული 1974 წლის 26 ოქტომბერს, მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში, საშუალო განათლებით). კერძოდ, 1992 წლის 1 დეკემბერს მსჯავრდებულნი და მათთან ერთად არასრულწლოვანი თ. უჩავა შეიჭრნენ ხელაიების საცხოვრებელ ბინაში, არასრულწლოვანი ბ. გაბეშია კი გარეთ ელოდებოდა. ფულისა და ძვირფასეულობის გამოძალვის მიზნით მათ სასტიკად სცემეს ცოლ-ქმარს, ვინაიდან საწადელს ვერ მიაღწიეს და მხილების შეეშინდათ, მით უფრო, რომ ვლადიმერ ხელაიამ იცნო ისინი, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს თამარ და ვლადიმერ ხელაიები, მკვლელობის შემდეგ თავდამსხმელებმა, ფული და ძვირფასეულობა რომ ვერ იპოვეს, გაიტაცეს სანადირო თოფი ვაზნებით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ხელაიასა და წოწორიას მიმართ სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღო მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, ბ. ხელაიასა და მ. წოწორიას პიროვნება და მიუსაჯა მათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, თ. უჩავას — 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ბ. გაბეშიას — 8 წლით პატიმრობა.

1994 წლის 6 აპრილს სოფელ ინჩხურში გაიმართა სოფლის საკრებულოს მცხოვრებთა ყრილობა, რომელმაც მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება, და მიმართა შეწყალების საკითხთა კომისიას, რათა განაჩენი ძალაში დარჩენილიყო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ასევე სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა რომული ლეონიდეს ძე გოგისვანიძეს (დაბადებულს 1942 წელს, საშუალო განათლებით, ცოლშვილიანს, წარსულში ორჯერ ნასამართლევს, უმუშევარს, მცხოვრებს ქ. ქუთაისში), რომელმაც 1993 წლის 22 სექტემბერს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ქუთაისის მე-4 პურის საცხობის გამგე ვ. ფხაკაძე, რომლისგანაც იყიდა 40 ცალი 800-გრამიანი პური ქალაქის საფინანსო განყოფილების მიერ დამტკიცებულ ფასში — თითო 500 კუპონად. მკვლელი შეეცადა მიმალვას, მაგრამ იგი დააკავეს ავტომშენებლის ქუჩაზე მყოფმა მოპიკეტე პოლიციის მუშაკებმა. დაკავებისას რ. გოგისვანიძეს აღმოაჩნდა „აკმ"-ის სისტემის ავტომატური იარაღი ერთი საბრძოლო ვაზნით და ავტომატური იარაღის სამი მჭიდი, აგრეთვე ტყვიამფრქვევი 870 საბრძოლო ვაზნით.

სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა ზაზა ჯემალის ძე ცანავას (დაბადებულს 1968 წელს, 8 კლასის განათლებით, უცოლშვილოს, მცხოვრებს ქ. ქუთაისში. წარსულში ნასამართლევს).

ჯერ კიდევ 1991 წლის 17 აპრილს ზ. ცანავა გაასამართლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და ჩადენილი დანაშაულისათვის (სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა და ტარება, არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში) მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. 4 მაისს იგი გაიქცა საპატიმრო ადგილიდან.

საპატიმროდან გაქცეული ზ. ცანავა არ ერიდებოდა ქალაქში ცეცხლსასროლი იარაღით გამოჩენას.

1992 წლის 19 აგვისტოს ზ. ცანავა პისტოლეტით ხელში გადაუდგა ავტომანქანა „ნივას", რომელსაც მართავდა აკაკი ივანეს ძე ტყაბლაძე. იგი არ დაემორჩილა ზ. ცანავას მოთხოვნას, გვერდი აუარა მას და განაგრძო გზა. ზ. ცანავამ ათი მეტრი მანძილიდან დამიზნებით ორჯერ ესროლა მძღოლს. ერთ-ერთი ტყვია კეფის არეში მოხვდა ა. ტყაბლაძეს. ზ. ცანავა შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, ა. ტყაბლაძე შემთხვევიდან მეშვიდე დღეს გარდაიცვალა.

სიკვდილი სიკვდილის წილ!

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა (მუქარით არასრულწლოვანის გაუპატიურება) და წარსულში სამჯერ ნასამართლევი და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ანუშვარ პარავიანის პიროვნული მონაცემების გათვალისწინებით მას მიუსაჯა სიკვდილით დასჯა.

სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა მამუკა ზაურის ძე ჭიკაიძეს (დაბადებულს 1968 წელს, საშუალო განათლებით, უცოლშვილოს, მცხოვრებს ქ. ქუთაისში). მან 1993 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ფარულად გაიტაცა თავისი ძმის, ბატალიონ „გორდას" წევრის გურამ ჭიკაიძის კუთვნილი ავტომატი „აკს" ტაბელური იარაღი 150 საბრძოლო ვაზნით. პირველ ნოემბერს იგი შევიდა ქალაქ სენაკის სამთავრობო ჯარში მოხალისედ. იმავე დღეს მთვრალი მ. ჭიკაიძე ქუჩაში აუხირდა თბილისიდან თავის სიმამრთან სტუმრად მყოფ ზვიად ზაურის ძე ბარამიძეს. იგი ბარამიძეს შეჰყვა სიმამრის ზ. ნადარაიას სახლის ეზოში, დაიწყო სროლა ოჯახის წევრების მიმართულებით. შემდეგ ავტომატი დაუმიზნა ზ. ბარამიძეს და ადგილზევე მოკლა იგი. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჭიკაიძე შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

სიკვდილით მსჯავრდებულია მარტინ არმენაკის ძე ბაბოიანი (დაბადებული 1947 წელს, 8 კლასის განათლებით, ცოლშვილიანი, წარსულში ნასამართლევი, მცხოვრები ასპინძის რაიონის სოფელ დამალაში):

მ. ბაბოიანს წინათაც ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა, რისთვისაც მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის პროცესში მ. ბაბოიანი ფსიქიკურად დაავადდა, რის გამოც მას შეეფარდა იძულებითი მკურნალობა და გაიგზავნა სურამის საერთო ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, ასპინძის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 14 ივლისის განჩინებით, მ. ბაბოიანს მოეხსნა იძულებითი მკურნალობა. იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან და ცხოვრობდა მამამისის — არმენაკ ბაბოიანისა და სავალდებულო საექიმო მეთვალყურეობით.

1993 წლის 18 აპრილს, 22 საათსა და 30 წუთზე, დიდძალი ალკოჰოლიანი სასმელის მიღების შემდეგ თავისსავე საცხოვრებელ ბინაში, შვილს — რუდიკ მარტინის ძე ბაბოიანს შესთავაზა არაყი, რაზეც უარი მიიღო. ამის გამო მარტინ ბაბოიანმა თავისი შვილის მოკვლა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით დანით გაემართა რუდიკ ბაბოიანისაკენ, შვილისაკენ მიმავალმა მეუღლეს, ხანუმ არმენაკის ასულ ბაბოიანს ხელის არეში მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება, შემდეგ მიეჭრა რუდიკ ბაბოიანს და დანით მიაყენა მუცლის ღრუში შემღწევი ჭრილობა, რის შედეგადაც რ. ბაბოიანი ადგილზევე გარდაიცვალა. მ. ბაბოიანი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. იგი დააკავეს 1993 წლის 21 აპრილს რაიონული პოლიციის მუშაკებმა.

ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით მ. ბაბოიანი შერაცხად პიროვნებად ჩაითვალა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მას სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა.

სახელმწიფოს მეთაურთან არსებულმა შეწყალების საკითხთა კომისიამ განიხილა სიკვდილით მსჯავრდებულთა — ბესიკ ომარის ძე ხელაიას, მინდია ოთარის ძე წოწორიას, რომული ლეონიდეს ძე გოგისვანიძის, ზაზა ჯემალის ძე ცანავას, მამუკა ზაურის ძე ჭიკაიძის, ანუშვარ აშოტის ძე პარავიანის, მარტინ არმენაკის ძე ბაბოიანის თხოვნა პატიების თაობაზე. კომისიამ ვერ პოვა საფუძველი მათი შეწყალებისათვის და სახელმწიფოს მეთაურს წარუდგინა შესაბამისი წინადადება, რასაც სახელმწიფოს მეთაური დაეთანხმა და მსჯავრდებულთ უარი ეთქვათ შეწყალებაზე.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აგრძელებს ნაშრომების მიღებას 1996 წლის პრემიების მოსაპოვებლად. ნაშრომების წარმოდგენის ვადაა 1995 წლის 31 ოქტომბრამდე.

ნაშრომები კომიტეტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი მისამართით: **380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მეხუთე სართული, ოთახი 525, ტელ.: 99-93-29, 98-48-72, 14-17 სთ-45 წთ. საათებში.**

აქვე შეგიძლიათ მიიღოთ ცნობები პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომების წარდგენისა და გაფორმების შესახებ.

ურთიერთსასარგებლო შეთანხმება

ახლახან საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროში ერთმანეთს შეხვდნენ სომხეთისა და საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროთა საფოსტო კავშირების სამმართველოს უფროსები. შეხვედრაზე სპეციალისტებმა ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას. ეს ახალი ხელშეკრულება 2 მარტიდან ამოქმედდება. გათვალისწინებულია გაიხსნას ახალი საფოსტო ავტოტრაქტი თბილისი — გიუმრი (ანუ ყოფილი ლენინაკანი), რომელიც, ჯერჯერობით, კვირაში ერთხელ იმუშავებს და ურთიერთგზავნილებათა გაცვლის ობიექტი იქნება. ამავე შეხვედრაზე ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ანგარიშსწორება ორ ქვეყანას შორის იქნება შეღავათიანი, რაც მოსახლეობის სასარგებლოდ დღემდე არსებული ტარიფების შემცირებას შეუწყობს ხელს.

ასევე აღდგება საფოსტო კავშირიც მეშვეობით ამ ორ ქვეყანას შორის ფულის გზავნილებათა მიღება.

მზია ნარმანია,

კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

ხსოვნა

თამაზ შავგულიძე

ეს მეორე 28 თებერვალია, შენს დაბადების დღეს, უშენოდ რომ აღვნიშნავთ, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო. დღეს 65 წლისა შესრულდებოდი... განგებამ არ დაგაცალა...

ქართველ სწავლულ იურისტთა იმ თაობასეკუთვნოდი, რომელმაც ღირსეულად განაგრძო ჩვენი დიდი მეცნიერ-იურისტების მემკვიდრეობა და ახალ საფეხურზე აიყვანე ქართული სამართალმცოდნეობა. შენს წიგნებში მრავალი ახალი სიტყვაა სისხლის სამართლის საკითხებზე. შენი არყოფნა ძალზე ატყვია შენს ოჯახს: ჩვენს ჟუჟუნას, შვილებს, შვილიშვილებს, მეგობარ-ნათესავებს, მთელ ქართულ იურიდიულ მეცნიერებას.

შენი საქმეები, შენი წიგნები, კვლავაც მოგვაგონებს შენს დიდ სახელს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთელ ერს.

მეგობრები — სოსო ჭათიაშვილი, ოთარ ბერიშვილი, გურამ ბასიტაშვილი, ოთარ გორდელაძე, ზუტა მიქელაძე, ნოდარ ნებიერიძე, მიტო დოიჯაშვილი, ლამარა ჩორგოლაშვილი.

მერი ნარგიზაშვილი

56 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობამ უდროოდ შეუწყვიტა მაჯისცემა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის პროფესორს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს **მერი დავითის ასულ ნარგიზაშვილს**. მრავალმხრივი იყო მისი საზოგადოებრივი, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა.

მერი ნარგიზაშვილი 1964 წელს ჩაირიცხა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1967 წლის ნოემბრიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. წლების მანძილზე სათავეში ედგა შრომის ეკონომიკის კათედრას, ხოლო 1987 წლის მაისიდან კი მუშაობდა სოციოლოგიის კათედრაზე პროფესორად. 1989 წელს მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

მერი ნარგიზაშვილი იყო 80 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრასთან არსებული სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი; მოსკოვის შრომის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მერი ნარგიზაშვილის სახით ქართულმა ეკონომიკურმა, დემოგრაფიულმა და სოციოლოგიურმა მეცნიერებამ დაკარგა მრავალმხრივი მეცნიერი, შესანიშნავი სპეციალისტი, სტუდენტებისა და ასპირანტების გულისხმიერი აღმზრდელი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მეუღლე გიორგი (ჟორა) ლომაია, შვილები ნონა, ნანა, სიძეები თამაზ მიქაუტაძე, ალეკო ნოზაძე, შვილიშვილები თამუნა ნოზაძე, გიორგი, დავით მიქაუტაძეები ოჯახებში იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა ვლადიმერის ასული ტიბუა-ლომაია

პანაშვიდი 2, 3 მარტს, დაკრძალვა 4 მარტს, 14 საათზე, წყნეთის ქ. № 28.

კაზინო „ივერიას"
ესაჭიროება მომსახურე პერსონალი დაცვისთვის,
25-დან 35 წლამდე მამაკაცები. სიმაღლე 1მ. 90 სმ.,
ძლიერი ფიზიკური აღნაგობით. ფულადი
ანაზღაურება მაღალი.
ვთხოვთ, მიმართოთ კაზინო ივერიის დირექტორს
ბატონ მაქსიმე ხანტაკრუზს.
ყოველ დღე, [illegible] 3-დან 10 საათამდე.
მისამართი: ინაშვილის 6, სასტუმრო „ივერია".

შ. პ. ს. „სპექტრი-T"
გთავაზობთ
3, 4, 5, მმ სხვადასხვა ფერის მინას.
მოგვმართეთ შემდეგ მისამართებზე:
1. ქ. წამებულის გამზ. №94
(მეტრო „ისანი", კ/თ „ისანის" შენობა)
2. პ. ქავთარაძის ქ. №1-4
(პავლოვის ქუჩის ბოლოს)
ანგარიშსწორება — ნებისმიერი.
ტელ.: 74-26-46

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.
ინდექსი 66484